ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ +„რიშელიე“

8 ლარი

30 მაისიდან 13 ივნისამდე




ოთხშაბათი, 1 ივნისი, 2011 №128 (5509) ფასი: 30 თეთრი

# ხელისუფლება ადამიანურ სახეს კარგავს!

„თქვენ სთავაზობდით მომიტინგეებს ნებისმიერ ადგილს, რუსთაველის გამზირის გარდა, მიტინგის ჩასატარებლად. ჩვენ გთავაზობდით ნებისმიერ ადგილს, რუსთაველის გამზირის გარდა, აღლუმის ჩასატარებლად. რუსთაველის გამზირისთვის ამ პარანოიდალურ ბრ ოლაში მივიღეთ კატასტროფული შედეგი. ამ დარბაზში ჯდომა და თქვენი კომენტარების მოსმენა შეურაცხმყოფელია პირადად ჩემთვის, ჩემი მეგობრებისთვის, დაღუპულთა ხსოვნისთვის, მთლიანად ქართველი საზოგადოებისთვის“.



გვ.2

## მოსახლეობას მთლიანად ვერ დააშინებენ

გვ.5

ბადრი ბიწა ეზე საქმის ალ ვრა, ესეც სრულიად აშკარაა, რომ არის არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ნაბიჯი, ვინაიდან, ჯერ ერთი, დაიწყო ბრალდებების კასკადი და დღესაც მიმდინარეობს პიარკამპანია ე.წ. სახელმწიფო გადატრიალებაში თუ შეიარაღებულ ამბოხებაში და ჩამოვიდნენ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევამდე და რაღაცა ჯგუფის შექმნამდე.





## პოლიტიკოსები პასუხისმგებლობის აღებას უნდა შეეჩვიონ!

გვ.3

## რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა გაუარესდება

გვ.6





რას ვარაუდობენ რუსი ექსპერტები

## თურქეთის პრემიერმა სააკაშვილს პირობა შეუსრულა

გვ.7





გვ.7

## 4 დეპუტატი 26 მაისის დარბევის გამოძიებას მოითხოვს



## ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები დანაშაულებრივია

გვ.2

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** საფრანგეთის საელჩო ახალ შენობაში გადადის

**10** რამდენი უკანონო პატიმარია საქართველოში

**6** გუდაურში სამორინეს მოწყობა სანებართვო მოსაკრებლისგან გათავისუფლდება

**11** ლალიძე რევოლუციის წინააღმდეგია

# ხელისუფლება ადამიანურ სახეს კარგავს!

ნანა მიშელაშვილი

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ პროტესტის ნიშნად გუშინ პარლამენტის სხდომათა დარბაზი დატოვეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გიორგი თარგამაძემ განცხადება გააკეთა და უმრავლესობას ემოციებისა და ტაშის გამო უსაყვედურა.

გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა მოლოდინი, 26 მაისს დაღვრილი სისხლი სხდომათა დარბაზს გააერთიანებდა და საერთო სინანულში ჩააგდებდა, თუმცა, იგი ხედავს მხოლოდ ცინიზმსა და სიძულვილს.

— თქვენ სთავაზობდით მომიტინგეებს ნებისმიერ ადგილს, რუსთაველის გამზირის გარდა, მიტინგის ჩასატარებლად. ჩვენ გთავაზობდით ნებისმიერ ადგილს, რუსთაველის გამზირის გარდა, აღლუმის ჩასატარებლად. რუსთაველის გამზირისთვის ამ პარანოიდალურ ბრძოლაში მივიღეთ კატასტროფული შედეგი. ამ დარბაზში ჯდომა და თქვენი კომენტარების მოსმენა შეურაცხმყოფელია პირადად ჩემთვის, ჩემი მეგობრებისთვის, დაღუპულთა ხსოვნისთვის, მთლიანად ქართველი საზოგადოებისთვის. ამიტომ ვტოვებთ დღევანდელ სხდომას. იქნებ ამით მაინც დაგანახვოთ, საით მიდის ხელისუფლება, რომელიც კარგავს ადამიანურ სახეს და იქცევა სასტიკ მონსტრად, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს არა მარტო ცალკეულ მოქალაქეთა სიცოცხლეს, არამედ მთელ ქართულ სახელმწიფოს, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

მან აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ განცხადებების გაკეთების დროს დარბაზში ტაშის ხმა და ოვაციებიც კი ისმოდა. მას შემდეგ, რაც დარბაზში მყოფმა ოთხმა ქრისტიან-დემოკრატმა სხდომათა დარბაზი დატოვა, პროტესტის ნიშნად ასევე დარბაზი დატოვა ჯონდი ბაღათურიამ.

სანამ ოპოზიცია საპროტესტო ნაბიჯს მიმართავდა, უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრები ერთმანეთს მწვავედ დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მიზეზი 26 მაისს განვითარებული მოვლენები და ამასთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებები გახდა.

სხდომაზე პირველი განცხადება სხდომის წამყვანმა მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარე ბაქრაძე ორშაბათს არც ბიუროს სხდომაზე იყო და არც გუშინ პარლამენტის სხდომაზე ყოფილა. ორივე სხდომა მიხეილ მაჭავარიანს მიჰყავდა. მაჭავარიანის თქმით, გასულ კვირას ტრაგიკულ, ძალადობრივ ფაქტებსა და პოლიტიკური ექსტრემისტების მიერ მოწყობილ ავანტიურას ჰქონდა ადგილი.

ამ განცხადების შემდეგ მიკროფონებთან რიგი დადგა. „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ოპოზიციური „რვიანის“ განცხადებების გამოა აღშფოთებული. ჯონდი ბაღათურიას თქმით, ოპოზიციურმა „რვიანმა“ მაისის აქციების ორგანიზატორების დასჯა მოითხოვა: ნონა გაფრინდაშვილის, გია ბურჯანაძის და ასე შემდეგ, მაშინ როცა თავად დარბოდნენ პოლიციის სამმართველოებში და ლიანდაგებზე, მათი დაპატიმრება არავის მოუთხოვია.

— ამ რვა პარტიიდან შვიდ პარტიას სამი თვე ჰქონდა გადაკეტილი გზა. ხან ლიანდაგებზე დაწვნენ და ხან პოლიციის სამმართველოს შეუცვივდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბევრი ჩვენგანი არ ეთანხმებოდა, არც ერთს არ უკადრებია და მათი დაპატიმრება ან დასჯა არ მოუთხოვია. სხვათა შორის, ამ რვიდან შვიდი მერვეს მოღალატეს ეძახდა. სანამ დააკონსტრუქციულებდნენ, მოიარეს ჟირინოვსკის კაბინეტები, სხვადასხვა დერეფნები ფულის მათხოვრობით. ეტყობა, ზოგიერთებმა იქ ფული ვერ მოისესხეს კარგად, ეს ყველას არ ეხება, ახლა თქვენ შეჰპირდით რაღაცას და სწორედ თქვენი შეპირების გამო აკეთებინებთ ასეთ განცხადებას, — აღნიშნა ბაღათურიამ. „ქართული დასის“ ლიდერმა განაცხადა, რომ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, სამოქალქო დაპირისპირების ზღვარზეა, გარე და შიდა მტერი კიდევ უფრო აღვივებს მდგომარეობას, საზოგადოება პოლარიზიებულია. ამის შემდეგ ბაღათურიამ საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა.

სხვა მოთხოვნა ჰქონდა ედპ-ის



წევრ გურამ ჩახვაძეს. იგი პრეზიდენტს უკანასკნელ დღეებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომის მოწვევას სთხოვს. გურამ ჩახვაძის თქმით, უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენები იყო რუსეთიდან მართული და რუსეთს სურდა, ქართველი პოლიტიკოსების ხელით მცირე სამოქალაქო ომის პროვოცირება მოეხდინა ქვეყანაში, თუ არა სახელმწიფო გადატრიალება.

გურამ ჩახვაძე ამბობს, რომ ამის თაობაზე „ეროვნულ-დემოკრატიულმა“ პარტიამ რამდენიმე თვით ადრეც ისაუბრა თბილისში მოსალოდნელი რუსული პროვოკაციების შესახებ და ხელისუფლებას მოუწოდა ამის თავიდან აცილება.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის დღეს განვითარებულ მოვლენებს, გურამ ჩახვაძე ამბობს, რომ 26 მაისს რაც მოხდა, წინააღმდეგობაშია არა მარტო საერთაშორისო ნორმებთან, არამედ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფასეულობებსაც.

— რაც არ უნდა განსაცდელის წინაშე იდგეს ქვეყანა და ასეთი განსაცდელი რეალურად არსებობდა და მომავალშიც იქნება, ხელისუფლება ვალდებულია, თავის ხალხს ღირსეულად მოექცეს. სხვანაირად საქართველო, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფო, ვერ შედგება, — აღნიშნა გურამ ჩახვაძემ.

ედპ-ის წევრის თქმით, როდესაც სამშობლო საფრთხის წინაშეა, ამორალურია, პოლიტიკოსმა მომლოდინის ან მეთვალყურის პოზიცია დაიკავოს, დაიმალოს და, როდესაც ურემი გადაბრუნდება, მერე გამოჩნდეს სცენაზე. ექსტრემისტებსა და ხელისუფლებას შორის ტოლობის ნიშანს ვერავინ გაავლებს. ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა გააკეთა. მან „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პროვოკაციასა და „ცეცხლზე ნავთის“ დასხმაში დაადანაშაულა, რადგან მან მომიტინგეებზე განაცხადა, რომ ისინი შიშველი ხელებით იყვნენ.

— შიშველი ხელები დაინახეთ იმ დღეებში იქ? რამდენიმე ასეული ადამიანი სხვადასხვა ნივთით შეიარაღებული იყო, რითაც ადამიანის მოკვდინება შეიძლება. ეს იყო შიშველი ხელები თუ ის განცხადებები ვერ გაიგეთ, ძალა მორევაზეაო? — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

უმრავლესობის წევრმა ზოგიერთი ოპოზიციონერის განცხადებას „რომანტიკული, რიტორიკული დემარში“ უწოდა, რომელიც საზოგადოებას ფეოდალიზმისკენ უბიძგებს. □ — როგორ ჰყოფნით ადამიანებს ამის მორალური ან რაციონალური უფლება, რომ 1989 წლის 9 აპრილი შეადარონ იმ ვითარებას, რომელიც დღეს არის საქართველოში. საკუთარ სამართალდამცავებს ისე დაუპირისპირდნენ, როგორც როდიონოვის საოკუპაციო ჯარებს, — აღნიშნა დარჩიაშვილმა. მისივე შეფასებით, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფები ახდენდნენ კონკრეტული ადამიანების ეგზალტაციას. — კონკრეტულ ადამიანს ურჩევნია, რუსი ოკუპანტების აღლუმს დაესწროს 2008 წლის აგვისტოს შემდეგ და საკუთარი ჯარის აღლუმს ყველანაირად შეუქმნას პრობლემები. ეს პოლიტიკური შეფასებისთვის საკმარისია, — აღნიშნა დარჩიაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა დარჩიაშვილს სიტყვა რამდენჯერმე ტაშით გააწყვეტინეს. ამ განცხადებას ოპოზიციონერი დეპუტატის დიმიტრი ლორთქიფანიძის პასუხი მოჰყვა.

ლორთქიფანიძემ უხერხული უწოდა დარჩიაშვილის მიერ ევროპული კონვენციის ხსენებას მას შემდეგ, რაც 26 მაისს მოხდა. დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასებით, ეს იყო სისხლიანი ანგარიშსწორება, ათეულობით დაბლა დაყრილი ადამიანი, რომელთან სცემდნენ, მათ ცემას ტრანსპორტირებისას ქალაქის სამმართველოშიც აგრძელებდნენ. — ამას ჩვენ გვაყურებინებდნენ, რათა ჩვენთვისაც ცნობილი იყოს, რომ ეროვნული იდეა დიდი ხანია მიბმულია რუსულ პროვოკაციებზე. თურმე ეროვნულ დონეზე საკმარისია პროტესტი წარმოგეშვას და თუნდაც ხელში აიღო ჯოხი იმის გამო, რომ სასამართლო წაგართვეს, ადამიანი მოკლეს და ამის გამო ვერავის სთხოვ პასუხს, ეს არის თურმე რუსული იდეის განხორციელება. თუ მათ შორის არის რუსული იდეის მატარებელი, კეთილი ინებონ შსს-მ და პროკურატურამ და გამოყონ პროვოკაციული ნაწილი რეალურად ეროვნული იდეის მატარებელი ნაწილისგან. ეროვნული იდეა გადაჰყვა რუსულ იდეას, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ. მანვე იკითხა: უფლება არა აქვს ადამიანს, ეროვნული იდეისთვის ქუჩაში გამოვიდეს და თუნდაც ხელში ჯოხი აიღოს, მაშინ როდესაც სამართალი არ არის?

ლორთქიფანიძემ დეპუტატებს დემურ მანაგაძის სურათი აჩვენა, რომელიც 50-ე დაკარგულია, არადა, შსს ამტკიცებს, რომ მიტინგის შემდეგ დაკარგული ადამიანები არ არიან. დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, 21 წლის დემურ მანაგაძე ხონელია. — რითი ხელმძღვანელობს პოლიცია? კონსტიტუციით, პოლიციის შესახებ კანონით? მიტინგებისა და მანიფესტაციების კანონით? არც ერთი კანონის მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული მათ მოქმედებებში, — მიმართა უმრავლესობის წევრებს ლორთქიფანიძემ.

მისივე შეფასებით, ხალხი დახოცილია, საკუთარ სისხლში აბანავეს ადამიანები, მათ არ მისცეს გაქცევის საშუალება. — ამას ითვალისწინებს დაშლა, მანიფესტანტების განდევნა? გაქცევის საშუალება ჰქონდათ? მე ვერ შევეგუები ამ უკანონობას, ამ არაადამიანურობასა და ფაშიზმის ელემენტების გამოხატულებას, — განაცხადა ლორთქიფანიძემ. მას სიტყვა შეაწყვეტინა ხათუნა გოგორიშვილმა, რომელმაც ადგილიდან დაუძახა, რომ წესიერად ელაპარაკა. — წესიერად ვლაპარაკობ, ქალბატონო ხათუნა. თქვენ მოისმენთ ჩემგან გაცილებით ადეკვატურ ნაბიჯებს, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა მმართველ პარტიას განუცხადა, რომ 26 მაისის მოვლენები თავისი სისასტიკით 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებს აღემატებოდა. მისი თქმით, 7 ნოემბერს მომიტინგეებს გასაქცევი მაინც დაუტოვეს, 26 მაისს კი ხალხი ალყაში მოაქციეს და სასტიკად გაუსწორდნენ. თუმცა, მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ იგი 7 ნოემბრის აქციის დარბევას ამართლებს. დეპუტატის განცხადებით, დროებითი საგამოძიებო კომისია თავად უმრავლესობამ უნდა შექმნას, რადგან ადამიანებს თავიანთი სამუშაო ოთახების ფანჯრების წინ ხოცავდნენ. ეს დარბევა ადამიანების საშინელ დასჯას ისახავდა მიზნად, რათა აღარავის გაუჩნდეს ქუჩაში გასვლისა და აზრის გამოხატვის სურვილი. მაგრამ ქართველ ხალხს ვერ დააჩოქებთ, რადგან თავისუფალი საქართველო არა მარტო თქვენი, არამედ ჩვენი მონაპოვარიც უნდა გახდეს. გინდათ, თავისუფლება ჩექმით გასრისოთ, მაგრამ ეს არ გამოგივათ. რაც უფრო მეტად მოინდომებთ ამას, მით მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში, — მიმართა ცაგარეიშვილმა უმრავლესობას.

ამასთან, მისი მოსაზრებით, ხელისუფლებას ოპოზიციასთან, თუნდაც ოპოზიციურ რვიანთან დიალოგი რომ გაემართა, მოვლენები ასე არ განვითარდებოდა.

ოპოზიციას უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გაბაშვილმა უპასუხა. მისი თქმით, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ფარისევლობა და პოლიტიკური ქულების დაწერის სურვილი არ უნდა ხდებოდეს. — მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული ძალა სხვა არის და იმ ჯგუფების წინააღმდეგ — სხვა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ სხვადასხვა ნივთით, რომელთაც წინასწარ გამოცხადებული ქრონიკა ჰქონდათ სამართალდამცავებთან დაპირისპირებისა და არა მხოლოდ მათთან, არამედ პრორუსული რევოლუციური გეგმა ჰქონდათ, დარბევა, მანქანების დაწვა, მაღაზიებზე თავდასხმა, — აღნიშნა გაბაშვილმა. მან ქართული პოლიციის მოქმედება კანონიერად შეაფასა. □ — ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ამ ადამიანების სურვილი მშვიდობიანი პროტესტი კი არ ყოფილა, ამ ადამიანების სურვილი თავისუფლებისთვის ბრძოლა კი არ ყოფილა, არამედ ამ ადამიანების სურვილი იყო, ჩაებარებინათ საკუთარი ქვეყანა იმ ნაძირალისთვის, რომლის გვერდითაც იდგნენ შარშან აღლუმზე. ამ ადამიანების მიზანი იყო სამოქალაქო ომის დაწყება ამ ქვეყანაში, სადაც მერე ველარავინ არჩევს მტყუანსა და მართალს, სამოქალაქო ომის, სადაც მერე სისხლის მდინარეები დგება, — აღნიშნა გაბაშვილმა. მისივე თქმით, გამოძიება იქნება და არც ერთ დამნაშავეს ისე არ დატოვებენ, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს. — მათ შორის, დამნაშავეებსაც, რომლებიც პოლიტიკურ ნიღაბს არიან ამოფარებულნი, პასუხი გაეცემათ და ველარასოდეს ველარც თქვენი ფანტანჩიკებთან შენახვედრი მაესტროები, ველარც მახინჯი ხაჩიშვილები, ველარც ლევან პირველები და ველარც თქვენი პროვოკატორი დამფინანსებლები ამ ქვეყანას ხელში ველარ ჩაიგდებენ, რამდენიც არ უნდა იბაქიბუქოთ შეტაკებამდე და რამდენიც არ უნდა იწრუწუნოთ შეტაკების შემდეგ, — აღნიშნა გაბაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი პირობას იძლევა, რომ სხვა სახელმწიფოს ძალებს არასოდეს მიეცემათ საშუალება, ჩაშალონ დამოუკიდებლობის დღე საქართველოში. მინაშვილმა აღნიშნა, რომ ის, რაც ძალიან წარმატებულად გააკეთა პოლიციამ 25-ში, იყო სახელმწიფოებრივი პოზიცია, რადგან მისი ვალდებულებაა, დაიცვას როგორც გამოხატვისა და მანიფესტაციების უფლება, ასევე სიმშვიდე და სტაბილურო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები დანაშაულებრივია



რუსეთის პირველ არხზე გასულ ფილმში „კავკასიური გეგმა — მეტასტაზები“ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები დანაშაულებრივია. განცხადება ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ გააკეთა.

— ახალი მემარჯვენეები ვთვლით, რომ ამ ფილმში ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები არა თუ უპასუხისმგებლო, არამედ დანაშაულებრივია საკუთარი ქვეყნის მიმართ და სცდება მოქალაქეობრივი მოვალეობის, პოლიტიკური ქმედებების ფარგლებს. სრულიად აშკარაა, ამგვარი უპასუხისმგებლო განცხადებები როგორი ხიფათის შემცველია ქვეყნისთვის და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან საქართველოს, — აცხადებს დავით გამყრელიძე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ როგორც ჩანს, ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ერთ ერთი ყოფილი წარმომადგენელი ისე დააბრმავა შურისძიების გრძნობამ საკუთარი თანაგუნდელების მიმართ, რომ ამან დაუკარგა პატრიოტიზმის გრძნობა და თანდათან აქცია სამშობლოს ინტერესების მოწინააღმდეგედ.

რუსეთის პირველმა არხმა მოამზადა ანტონ ვერნიცკის ფილმი სახელწოდებით „კავკასიური გეგმა — მეტასტაზები“, რომლის ერთ ერთი რესპონდენტია საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი ადასტურებს, რომ აჩიმეზ გოჩიაევს, რომელიც 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგადონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზატორი იყო, ქართველებმა არაერთხელ მისცეს კორიდორი.

ოქრუაშვილის თქმით, ამის მომსწრე თავად არის, ამ საკითხების გადაწყვეტით დაკავებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქმის კურსში იყო პრეზიდენტი სააკაშვილიც. ფილმში ოქრუაშვილი საუბრობს აშშ ს როლზეც 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომში.

ინტერპრესნიუსი

## საფრანგეთის საელჩო ახალ შენობაში გადადის

საფრანგეთის საელჩო საქართველოში მისამართს იცვლის და ახალ შენობაში გადადის, რომელიც კრწანისის ქუჩა 49-ში მდებარეობს.

2011 წლის 10 ივნისიდან საელჩოს საკონსულო და დიპლომატირური სამსახურები აღნიშნულ მისამართზე განთავსდება.

შეგახსენებთ, აქამდე საფრანგეთის საელჩო გოგებაშვილის 15-ში მდებარეობდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# პოლიტიკოსები პასუხისმგებლობის აღებას უნდა შეეჩვიონ!

შორენა კოწოწაშვილი

**ეკა ბესელია 26 მაისს რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებში ფაშიზმის კვალს ხედავს და ეთანხმება მათ, ვინც აქ არსებულ ვითარებას გუანტანამოს ციხეს ადარებს.**

„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დამფუძნებელი ხელისუფლების პოლიტიკურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საუბრობს, თუმცა მიაჩნია, რომ ნინო ბურჯანაძემ ბევრ კითხვას უნდა უპასუხოს.

ვის ზურგს ამოეფარა ბურჯანაძე და როგორ მოხდა უვადო პატიმრობამისჯილი გენერალი დუმბაძე რუსეთის ფედერაციაში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელ ეკა ბესელიასთან.

***— ქალბატონო ეკა, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ბევრი შეფასება გაკეთდა. თქვენი აზრით, რა იყო ის, რაც ჩვენ რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ — საპროტესტო აქციის დაშლა?***

— ეს იყო მეორე 7 ნოემბერი. ეს იყო გაცილებით სასტიკი, ვიდრე 7 ნოემბერი, გაცილებით ტრაგიკული, ვიდრე იყო 7 ნოემბერი და ძალიან კონკრეტული მოტივაციითა და ნაციონალური იდეოლოგიით დატვირთული სპეცოპერაცია, რომელიც გულისხმობდა და მიზნად ისახავდა პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას. ეს არ იყო მხოლოდ აღლუმის ჩასატარებლად სივრცის გათავისუფლება. ეს იყო პირდაპირი იერიში ყველა იმ ადამიანის მიმართ, მათი ლიკვიდაციის შესაძლო შედეგის დადგომის გათვალისწინებითაც კი, ვინც გამოვიდა როგორც არა მარტო ოპონენტი მიხეილ სააკაშვილისა, არამედ, იმავდროულად, როგორც მონაწილე სახალხო კრების აქციებისა, რომლებიც ასოცირდა ხელისუფლებისთვის, როგორც ბურჯანაძის აქციები. ვფიქრობ, სწორედ ბურჯანაძის ფაქტორი აღმოჩნდა გაცილებით სხვა მასშტაბის სისასტიკის გამოვლენის მიზეზი, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა შემთხვევაში.

***— ანუ ბურჯანაძეზე შურისძიება უნდოდა ხელისუფლებას და რეალურად ასე სასტიკად უდანაშაულო ადამიანებს გაუსწორდა?***

— ბურჯანაძის ფაქტორი, ალბათ, აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე გამაღიზიანებელი და ყველაზე დიდი არგუმენტი ხელისუფლებისა და იმ პირებისთვის, რომლებმაც ბრძანება გასცეს, რომ აქცია სასტიკად დაერბიათ. შემთხვევითი არაა, რომ პოლიტიკური ლიდერებიდან, რომლებიც აქციას ატარებდნენ, დაკავებული არავინაა. მთელი იერიში მიიტანეს რიგით ადამიანებზე. ეს არის უფრო მეტი, ვიდრე დანაშაული, რომელიც ჩაიდინა სააკაშვილმა. ვეჭვობ, მსხვერპლი უფრო მეტია, ვიდრე გვეუბნებიან. ის ფაქტი, რომ სახურავზე იპოვეს გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძე და წინასწარ თავს მოგვახვიეს ვერსია, რომ ეს იყო მაღალი ძაბვის სადენებზე შეხებისას გამოწვეული ტრაგედია, იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მსხვერპლი ბევრი იყოს და მალავენ. ამ დრომდე 40-ზე მეტი ადამიანის სამყოფელია დაუდგენელი. არავინ იცის, სად გაუჩინარდა ეს ხალხი. ბრძანება იყო გაცემული, განსაკუთრებით სასტიკი ყოფილიყვნენ არა ლიდერების მიმართ, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცების მიმართ, ანუ იმათ მიმართ, ვინც ჩათვალეს, რომ უფრო მეტი რესურსისა და აქტივობის მატარებელი იყო. ამიტომ არის, რომ ეს აქცია გამოირჩევა თავისი გაგრძელების თვალსაზრისით უსასტიკესად. შემზარავი მეთოდებია გამოყენებული. აქ არა მარტო სცემდნენ დაკავებულ ადამიანებს, არამედ ითქვა, რომ გაუპატიურების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი. დაკავებულებს საპატიმროებში ძალიან დიდ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ასეთი პიროვნული სიძულვილით დატვირთული სპეცდანიშნულების რაზმის წევრების მოქმედება მაფიქრებინებს, რომ ეს ხალხი უკვე დაგეშილია კონკრეტული იდეოლოგიით. ისინი თითქოს პირდაპირ ადამიანების სისხლზე ნადირობდნენ. ეს უპატიებელი დანაშაულია. სულ რომ არაფერი მაკავშირებდეს პოლიტიკურ პროცესებთან და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროსთან, სულით ხორცამდე შემძრავდა ძალადობის ის ფორმები, რომელიც ჩვენ ვნახეთ.

***— რეპრესიებისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების ახალი მეთოდები წარმოადგინა ხელისუფლებამ 26 მაისს?***

— ეს არის ნავარჯიშევი სპეციალური ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულად არიან გაწვრთნილი, როგორ უნდა იმოქმედონ და როგორ გამოავლინონ სასტიკი მეთოდები კონკრეტული პიროვნებების მიმართ. შეიძლება, ბევრი უდანაშაულო ადამიანი მოხვდა ამ ტალღაში. ყველაზე მეტად სწორედ ის ხალხი მაწუხებს. თვალებიდან არ ამომდის კადრები თავმოყვარე მამაკაცებისა, რომლებიც წყალში მიწაზე ეყარნენ ხელებშეკრულები და როგორ ურტყამდნენ მათ წაქცეულებს. ის ვიდეომასალა, რომელიც შსს-ს აქვს, სრულად რომ გამოაქვეყნოს რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, შეიძლება საზოგადოება დიდხანს ვერ გამოვიდეს ფსიქოლოგიური სტრესიდან. შეიძლება ისეთი კადრები ვიხილოთ ბნელ კუთხეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ისეთ შემზარავ ამბებს მიყვებიან, ერთ დასკვნამდე მივდივარ: ეს იყო ფაშისტური მეთოდების გამოყენება. ეს იყო მართლაც გუანტანამოს ციხეში არსებული მდგომარეობის მსგავსი მოპყრობა. როცა მითხრეს, რომ დაჭრილები ვერ გამოჰყავდათ და ვცდილობდი, მივტრიალებულიყავი რუსთაველის გამზირზე, წავედი ძნელაძის ქუჩისკენ. მოძრაობა „არას“ წევრი შემხვდა. სამი წლის ბავშვი ჰყავდა გამოყვანილი. მითხრა, სპეციალურად გამოვიყვანე, სპეცრაზმელებს რომ ეფიქრათ, ახლოს ცხოვრობს და ბავშვს ასეირნებსო. ნონა გაფრინდაშვილი ამ გზით ძლივს გამოვიყვანეო. ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ ის რუსთაველზე წაიქცა და დაზიანებებიც აქვს. მიჭირს იმის გააზრება, როგორ შეიძლებოდა, არ ყოფილიყო რაიმე ტიპის უსაფრთხოების ზომები მიღებული, თუნდაც იმისთვის, რომ ქალბატონი ნონა არ დარჩენილიყო იქ და გაეყვანათ რომელიმე მანქანით, რომელიც მოედნიდან გავიდა.

***— ხელისუფლებამ სახალხო კრების წარმომადგენლები სოსო ჯაჭვლიანი და სხვები რეგიონების კაპეზეებში მოათავსა. როცა პოლიტიკურ ლიდერებს პასუხს არ სთხოვენ, რა მეთოდია საზოგადოების წარმომადგენლებზე ასეთი ზეწოლა?***

— ეს შეგნებული მეთოდია. პოლიტიკური ლიდერები იყვნენ იქ ნინო ბურჯანაძე და თემურ შაშიაშვილი. ბათიაშვილი გამოჩნდა, შაშიაშვილს საკმაოდ მძიმე დაზიანებები აქვს. დაკავებული ჰყავდათ. იმ ღამეს ველაპარაკე. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. სხვათა შორის, როცა შაშიაშვილმა დამირეკა და მითხრა, რუსთაველის კინოდან ვერ გამოჰყავთ ხალხიო, მე იმავე ღამეს დაველაპარაკე სახალხო დამცველ ტუღუშს მიხაილოვის საავადმყოფოდან, სადაც დილამდე მომიხდა ყოფნა. მე იქ დაშავებულებს ვპატრონობდი და ჩემი მანქანით გადამყავდა. ტუღუშმა მითხრა, რომ თვითონ ვერ შედიოდა, მაგრამ წარმომადგენლები ჰყავდა გაგზავნილი, რომ მათ ვერ პოულობდა და იყო აბსოლუტური განუკითხაობა. შაშიაშვილი მეორედ დააკავეს სახალხო კრების ოფისში. ის საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ის, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართ სპეციალურად არ იქნა განხორციელებული დაკავების ღონისძიება, მიუხედავად იმისა, რომ ამას ითხოვდა კიდეც, შეგნებულად მოხდა, იმიტომ რომ აგრესია ამ დროს გაცილებით ძლიერდება იმ რიგითი ადამიანების მხრიდან, რომლებიც ამ პროცესს ემსხვერპლნენ, როდესაც პოლიტიკური ლიდერი უვნებლად გამოდის ბრძოლის ველიდან. ხელისუფლებამ ეს შეგნებულად გააკეთა, რათა ამ გზით ბურჯანაძის მიმართ აგრესია გაეზარდათ. ამიტომ არ დააკავეს ის, თორემ, თუ აქცია უკანონოა, აქციის რიგით წევრს აკავებ, ადმინისტრაციულად მაშინ მე



უფრო მეტად ვისჯები. ორგანიზატორს, ბუნებრივია, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

***— აქცია მართლაც უკანონო იყო, როგორც ხელისუფლება აცხადებს?***

— როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ ეს აქცია არ იყო უკანონო და ანტიკონსტიტუციური. ამაზე შეიძლება ბევრი დებატი გაიმართოს. მოსალოდნელი იყო დარბევა, თუმცა ველოდი, რომ ეს გამთენიისას მოხდებოდა, როცა ხალხი გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

***— პრეზიდენტი აცხადებს, რომ აქციის მონაწილეებს კონსტიტუციური წყობილების დამხობა უნდოდათ რუსეთის დახმარებით. თუ ეს ინფორმაცია ჰქონდათ და ეს იყო ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა, როგორც ახლა გვაჩვენებენ და თუ ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია და მტკიცებულები, რატომ ელოდებოდნენ 26 მაისს?***

— გამოძიება იწყება დაუყოვნებლივ, მაშინვე ხდება რეაგირება და პრევენციული ზომების მიღება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მასალები ჰქონდათ, რადგან ახლა სერიალებივით გვაყურებინებენ. გამოდის, მათ შეგნებულად მიუშვეს პროცესები 26 მაისამდე, რადგან უნდოდათ, აქცია დაერბიათ. ეტყობა, სააკაშვილს ხელები ძალიან ექავებოდა, რათა საკუთარი მოქალაქეები დაესაჯა უსასტიკესი მეთოდებით. ეს არის ცნობილი მეთოდი. 7 ნოემბერსაც ასე მოხდა: ჯერ დაარბიეს აქცია, მერე აჩვენეს სატელეფონო საუბრები, რათა ამით დარბევა გაემართლებინათ. ვანო მერაბიშვილი, რომელიც ამ მტკიცებულებებს აგროვებს, უსმენს ყველას და ყველას უთვალთვალებს, ძირითადად ამ მეთოდით მუშაობს — ჯერ მტკიცებულებებს ანუ ფაქტებს აგროვებს, ოპერატიულ მასალას, საიდანაც ვერ გაიგებ, რომელია რეალური და რომელი — ფაბრიკაცია. ცალკე თემაა, არის თუ არა ის სამართლებრივად მტკიცებულების ტოლფასი, მაგრამ შემდგომ იყენებს, როგორც გამამართლებელ არგუმენტებს უკვე ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის. ასევე მოხდა ახლაც. გამოდის, აქცია შეგნებულად მიუშვეს, რადგან რეალურად საფრთხეს არ ელოდებოდნენ, რომ აქ ხელისუფლების დამხობას ექნებოდა ადგილი. სადამსჯელო ოპერაციის ჩატარება უნდოდათ იმდენად, რომ სწორედ ამის შემდგომი პერიოდისთვის შემოინახეს ეს მტკიცებულება.

***— რას იტყვით ბურჯანაძისა და ანზორ ბიწაძის საუბრის ფარულ ჩანაწერზე და საერთოდ იმ ჩანაწერებზე, რომლებიც საზოგადოებამ მოისმინა? რეალურად გამოკვეთს ეს ჩანაწერები, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე მიდიოდა ბურჯანაძე?***

— მე იმდენად არ მჯერა ამ ხელისუფლების და ჩემთვის იმდენად არასაიმედოა ის მეთოდები, რომლითაც ისინი მუშაობენ, რომ ყველაფერი უტყუარად რომ იყოს მოწოდებული, მაინც ეჭვი შემეპარებოდა, ვიდრე არ დავრწმუნდებოდი, რომ ეს არის აბსოლუტურად კანონიერად მოპოვებული ინფორმაცია, იმიტომ რომ ზოგადად არ მჯერა ხელისუფლების მუშაობის მეთოდებისა, როგორც იურისტს, ვიცი რა, როგორ მაღალ ხარისხშია აყვანილი მტკიცებულებების ფაბრიკაცია და როგორი ტექნოლოგიები მუშაობს. ეს ერთი. ამიტომ ვიტოვებ უფლებას, არ მივიღო ეს ინფორმაცია უკრიტიკოდ და პირდაპირ. მე ვერ მივიღებ ამ ფარულ ჩანაწერებს, როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას; მეორე — თუ ეს ყველაფერი სიმართლეა და არანაირ ფაბრიკაციას არა აქვს ადგილი, მტკიცებულებები სწორად არის მოპოვებული და რეალობას ასახავს, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც მიუღებელია. პირდაპირ გეტყვით, თუ ადამიანი ასე ფიქრობს, რომ მისი თანამოქალაქის სიცოცხლე არაფრად უღირს და ა.შ., ბუნებრივია, არ შეიძლება რეაქცია არ გქონდეს და თქვა, მერე რა, რომ ასე ფიქრობსო. ამიტომ, რადგან მე კითხვის ნიშნები მაქვს ამ მტკიცებულებებისა და ზოგადად ხელისუფლებისადმო უნდობლობის გამო, ამაზე მტკიცებით ფორმაში რამის თქმა მიჭირს, მაგრამ დანაშაული ობიექტური გამოძიებით უნდა დგინდებოდეს. ის, რომ ყველაფერი მისაღები არ არის, რაც იქ არის ნათქვამი და რასაც გვაჩვენებენ, ბევრი რამ დასაფიქრებელია, რა თქმა უნდა, მაგრამ, კიდევ ვამბობ, წინაპირობა ამ ყველაფრის არის ის, რომ ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, ეს სიმართლეა თუ არა. თუმცა, თვითონ ბურჯანაძის კომენტარები იყო, რომელიც ხსნის გარკვეულ გარემოებებს და სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს, არა ისეთს, როგორადაც გვაწვდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ, ბუნებრივია, რაღაც დოზით საუბარი იქ არის.

***— რუსული კვალი იგრძნობოდა სახალხო კრების ნაბიჯებში? რუსული ფულისა და რუსული ინტერესების გამო გაემიჯნეთ სახალხო კრებას?***

— იმ ეტაპზე, როდესაც მე მივიღე უფლებამოსილების შეჩერების გადაწყვეტილება, სხვა არგუმენტები იყო. იქ არ იყო რუსულ კვალსა და რუსულ კავშირებზე საუბარი. ეს არ ყოფილა ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი, თუმცა, ასეთი რომ ყოფილიყო, ბუნებრივია, ეს არგუმენტიც საკმარისი იქნებოდა ჩემთვის, იმიტომ რომ მე არც ერთ შემთხვევაში არ ვიქნები მონაწილე არც რუსული და არც დასავლური, ანუ გარეთ მომზადებული პროექტებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ქართველი ხალხის ხელისუფლის მოყვანას. მიმაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. ვიმეორებ, არც პროდასავლური და არც პრორუსული პროექტების მონაწილე არ ვიქნები. მე არც ამ აქციების დაგეგმვის მონაწილე და ორგანიზატორი ვარ. მაგრამ ერთი რამ ფაქტია — ცოტა უცნაურად მეჩვენება „რაგატკებითა“ და პლასტმასის ხელჯოხებით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. მაგრამ სად იყო ეს შეიარაღებული რაზმები? ვერ ხედავდით, რომ ადამიანები წინააღმდეგობას უწევდნენ შიშველი ხელებით? თუ მართლაც აქციის პარალელურად იყო შეიარაღებული ჯგუფები, სად იყვნენ ისინი? მართლა ვკითხულობ, სად იყო ეს არსენალი? თუ ამაზე შემონახული აქვს შსს ინფორმაცია და ეს მორიგ სერიალებად უნდა გვაყურებინოს, არ ვიცი. ერთი რამ ცოტა უცნაურია — ხაჩიშვილი, დუმბაძე — ეს რაღაც ახალი გაერთიანებაა, რომელიც აბსოლუტურად არასწორად იყენებმ აქ მეუფე იობის ლოცვა-კურთხევას. მეუფე იობის ლოცვა-კურთხევა არ ყოფილა რაღაც გასამხედროებული თუ გაურკვეველი იმპულსების ორგანიზაციის შექმნა. ყველას ვთხოვ, ამ უაღრესად მართლაც დიდ პატრიოტ და ჩვენი სულიერების ერთ-ერთ გამორჩეულ მესაჭეს ნურავინ მიაყენებს ჩრდილს. მეუფე იობს ისედაც ბევრი მტერი ჰყავს და ხელისუფლებას ისედაც ყელზე ადგას მისი ძალიან პირდაპირი და პრინციპული პოზიციის გამო. ცოტა უცნაური იყო ამ ადამიანების ყოფნა ამ აქციაზე, ვგულისხმობ ახალ მოძრაობას. დუმბაძის თემა მაშინაც ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო. მას ჯერ მისცეს უვადო თავისუფლების აღკვეთა, შემდეგ კი რუსეთის მხარეს გადასცეს, გაცვალეს ტყვეებში. ამას რა სამართლებრივი საფუძველი დაუდეს, დღემდე ვერ ვიგებ. ყოველ შემთხვევაში, მასთან დაკავშირებით არის კითხვის ნიშნები. ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ადამიანები არიან დაკავებულები, მათ შორის, ბევრია ისეთი, რომელიც არანაირ სახელმწიფო გადატრიალებაში არ მიიღებდა მონაწილეობას. მაგალითად, ზურა გელაშვილი. მას პირადად ვიცნობ. ის არის ვეტერანი, ყოფილი მებრძოლი. მასაც იგივე ბრალი წაუყენეს. თუ ასეთი ადამიანები დააკავეს ამ ბრალდებით, სასაცილოა, რადგან ისინი მართლაც პატრიოტები არიან. აბსოლუტურად უკანონოდ არის დაკავებული გოჩა მუხაშავრია, ჩვენი ორგანიზაციის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

***— რას იტყვით ყინწვისის მონასტერში განხორციელებულ დაკავებებზე და მასთან ხაჩიშვილისა და დუმბაძის შესაძლო კავშირზე?***

— ყინწვისში როცა სპეცოპერაცია ჩატარდა, იქ აიყვანეს 30-ზე მეტი ადამიანი. ესენი იყვნენ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის წევრები. უმეტეს მათგანს წაუყენეს ბრალდება — სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობა. ვიმეორებ, გელაშვილი არანაირ სახელმწიფო გადატრიალებაში არ მონაწილეობდა. თუ ასე უყენებენ ადამიანებს ბრალს, ეს კიდევ ბევრ ეჭვს ბადებს. ვერ ვილაპარაკებ ისეთ დეტალებზე, რომლებიც არ ვიცი. მთელ ამ მასალას სჭირდება შესწავლა. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: როცა გვაყურებინებენ ნაცემი და ნაწამები ადამიანების აღიარებით ჩვენებას, მე, როგორც იურისტმა, ძალიან კარგად ვიცი, როგორ შეიძლება ასეთი ჩვენებები მიიღო. როცა ადამიანს აწამებ, მან შეიძლება ყველაფერი დაიბრალოს. მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ადვოკატებმა უნდა იმუშაონ ძალიან კვალიფიციურად. ყველა ასეთი ზეწოლის ფაქტზე უნდა მოხდეს რეაგირება, რათა შეწყდეს ამ ადამიანების ცემა-წამება. მათ თავისუფალი გამოძიების პირობებში უნდა მისცენ ჩვენება და არა თქვან ის, რასაც გამომძიებელი ფურცელზე დაუწერს. შეიძლება, ნახევარ საქართველოს სჯერა, რასაც აჩვენებენ, მაგრამ მე, როგორც იურისტს, არ მჯერა.

***— ამ ჩანაწერებით ვერც ბადრი ბიწაძის ბრალი დასტურდება, რომელიც მას პროკურატურამ წაუყენა?***

— ამ შემთხვევაში არ გამოვდივარ არც ბურჯანაძისა და არც ბიწაძის დამცველად. ვლაპარაკობ, როგორც უფლებადამცველი და იურისტი. მე შევხედავდი ამ ყველაფერს ეჭვით. არ მივიღებდი ასე მოწოდებულ მასალას კრიტიკის გარეშე. არის თუ არა რაიმე მტკიცებულება ბიწაძის საწინააღმდეგოდ, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან უტყუარი მტკიცებულება არ მინახავს. მე შემიძლია ვილაპარაკო ლიდერების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვხედავ იმ ქმედებაში, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა; ვინც გასცა ის ბრძანება და ვინც შეასრულა ის უკანონო ბრძანება, რომ ადამიანებს თავები დაუხეთქეს. ბევრი პატრიოტი იდგა იქ, რომელიც არც ბურჯანაძის გამო მივიდა იქ და არც ბადრი ბიწაძის.

# მოსახლეობას მთლიანად ვერ დააშინებენ

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან

*— ბატონო გელა, ხელისუფლება ყოველდღე ახალ-ახალ კომპრომატებს აქვეყნებს სახალხო კრების ლიდერების წინააღმდეგ. თქვენი აზრით, რამდენად იყო ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა?*

— მე, როგორც ერთი მხრივ ისტორიკოსმა და მეორე მხრივ იურისტმა, ძალიან ბევრი ვიცი, წამიკითხავს იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა დანაშაულში ბრალდება და საქმეების შეთითხვნა 20-იან 30-იან წლებში, როდესაც ადამიანები იბრალებდნენ ყველაფერს, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანის ჩათვლით და ერთმანეთს აბრალებდნენ ისეთ დაუჯერებელ ქმედებებს, რომელსაც ადამიანის გონება ვერც კი წარმოიდგენს. მაგრამ ეს ყველაფერი დამაჯერებლად მიაჩნდათ საზოგადოებაში, რადგან საზოგადოება იყო ბოლშევიკური და ტვინების გამორეცხვის პროცედურები მაღალ დონეზე ჩატარებული, იყო საზოგადოება დაშინებული, დამფრთხალი, დაზაფრული. სწორედ ასეთი ნეობოლშევიკური მეთოდებით მართვას დღეს განახორციელებს ჩვენი ხელისუფლება, ასეთია ჩვენი მართლმსაჯულება და ამიტომ არც ერთო ე.წ. კომპრომატი, რომელიც შექმნილია, არ იმსახურებს ნდობას. ჩემი თვალითაც ძალიან კარგად დავინახე, როგორ ექცეოდნენ დაკავებულ ადამიანებს ხალხმრავალ ადგილას და მით უმეტეს, როდესაც ეს ხდებოდა დაფარულ და ჩაკეტილ ოთახში. ჩემ თვალწინ თავგაჩეხილი ადამიანები იყვნენ, რომელთაც ყველაფერს აიძულებდნენ, შემდეგ ამ ყველაფრის დამუშავება, შეთითხნა ხდება. მაშინ, როდესაც ტექნოლოგიები ისეთ მაღალ დონეზეა განვითარებული, რომ როდესაც არ არსებობს არანაირი გახსნილობა, არანაირი გადამოწმების საშუალება, რასაკვირველია, არანაირ ნდობას არ იმსახურებს და აქედან გამომდინარე, ყველა ეს კომპრომატი მიმართულია მხოლოდ იმისკენ, რომ ხელისუფლებამ მათ მიერ ჩატარებული, მკვლელობებით დამთავრებული ეს ოპერაცია გაამართლოს როგორც დასავლეთის, ასევე საკუთარი საზოგადოების თვალში. აი ეს არის და ეს.

*— საზოგადოებაში შექმნა მტრის ხატი რუსეთის სახით. თქვენ ფიქრობთ, რომ დიდი წამების შედეგად არის ეს ჩვენებები მიღებული?*

— მე ეჭვი არ მეპარება, რომ სწორედ წამების შედეგად არის ეს ჩვენებები მიღებული, იმიტომ, რომ არა ერთი და ორი შემთხვევაა ასეთი და ვიმეორებ, ასეთი მეთოდებით ნებისმიერ დანაშაულს აალებინებენ თითქმის ნებისმიერ ადამიანს თავზე, თუ არ არის გამონაკლისი და ეს ადამიანი არ არის სიკვდილისთვის მზად. ასეთები კი არიან მხოლოდ ერთეულები. რაც შეეხება მტრის ხატის შექმნას, ეს ნებისმიერი დიქტატორული რეჟიმისთვის არის აუცილებელი, მისთვის მაცოცხლებელ ენერგიას წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ბოლშევიკების დროს ეს იყო ამერიკის იმპერიალიზმი. დღევანდელი ხელისუფლებისთვის კი ეს არის რუსეთი. მაშინ რაც კი ფუჭდებოდა, იმპერიალიზმის ხრიკებს აბრალებდნენ, დღეს რაც კი ფუჭდება, ყველაფერს რუსეთს აბრალებენ. უბრალოდ, აქ ტერმინები შეიცვალა, სახეები შეიცვალა, თორემ მეთოდები თუ შეიცვალა, მხოლოდ დახვეწის მიმართულებით. სხვა მხრივ არაფერი არ შეცვლილა.

*— რაც შეეხება ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს, როგორც ცნობილია, ნინო ბურჯანაძემ თქვენ შემოგთავაზათ მისი ინტერესების დაცვა...*

— ბადრი ბიწაძეზე საქმის აღძვრა, ესეც სრულიად აშკარაა, რომ არის არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ნაბიჯი, ვინაიდან, ჯერ ერთი, დაიწყო ბრალდებების კასკადი და დღესაც მიმდინარეობს პიარკამპანია ე.წ. სახელმწიფო გადატრიალებაში თუ შეიარაღებულ ამბოხებაში და ჩამოვიდნენ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევამდე და რაღაცა ჯგუფის შექმნამდე. მეორეც, შეიარაღებულ დაჯგუფებაში რატომღაც ისინი თვლიან იმ ადამიანებს, რომლებიც დროშის ტარებით იყვნენ და ხის ფარებით შეიარაღებულნი და ე.წ. რაგატკებით. რაგატკებით, ხის ფარებით და პლასტმასის მილებით აღჭურვილი მოქალაქეები მსოფლიოში ჯერ არავის ჩაუთვლია შეიარაღებულ ფორმირებად. აქედან გამომდინარე, ისინი თუ ამით აპირებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, მაშინ ძალიან გულუბრყვილონი ყოფილან. რადგანაც ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ აღძრეს საქმე და თანაც მოაყოლეს ისიც, რომ ჩვენ მის დაპატიმრებას კი არ ვითხოვთ, არამედ გვინდა, რომ გირაო შევუფარდოთ აღმკვეთი ღონისძიების სახითო, ესეც არის პოლიტიკური ნაბიჯი და არა სამართლებრივი. პრაქტიკულად არ ხდება 99% შემთხვევაში, 10 ლარის ქურდობისთვისაც კი პროკურატურა ყოველთვის ითხოვს წინასწარ პატიმრობას აღმკვეთი ღონისძიების სახით და ესეც, რა თქმა უნდა, სუფთა პიარნაბიჯია და მიმართულია იქითკენ, რომ ხალხმა თქვას, რამდენს მოითხოვენ ღმერთმა იცის, მაგრამ ცოტას ნამდვილად არ მოითხოვენ; ვთქვათ, ასი ათასი ლარის გადახდას მოითხოვენ და თუ გადაიხადა ბურჯანაძემ, მერე იტყვიან, აი, ხედავთ, თავისი ქმრის გათავისუფლებისთვის მან ამდენი ფული გადაიხადა და ის საცოდავი ხალხი კი ციხეშია გამოკეტილი და იმათზე არ ზრუნავსო. ეს არის ძალიან მარტივი და ერთუჯრედიანი პიარნაბიჯი, რომელიც ერთუჯრედიან ხალხზეა გათვლილი და სამწუხაროდ, ქართველ საზოგადოებაში ერთუჯრედიანების ნაკლებობა არ იგრძნობა. ამიტომ მე ძალიან სწორად მიმაჩნია ბურჯანაძის გადაწყვეტილება, როდესაც მას განუცხადებია, რომ არანაირ გირაოს ის არ გადაიხდის. თუ ეს პიარნაბიჯი არ არის და თუ ეს პოლიტიკური ნაბიჯი არ არის მისი გირაოთი გათავისუფლება, მაშინ მეორე მხარე აქვს ამას, იმდენად სუსტია ბრალდების პოზიციები და იმდენად სუსტია პოზიციები, რომ მათ არა აქვთ იმედი, რომ საბოლოო ჯამში დაუმტკიცებენ მას დანაშაულს და წინასწარ თავს იზღვევენ, რომ მერე არ ჩაეთვალოთ უკანონო პატიმრობად. მე გუშინ ვიყავი ნინო ბურჯანაძესთან, მან მთხოვა იურიდიული კონსულტაციები, ასევე საუბარი იყო, რომ ხომ არ ჩავერთვებოდი მე ბადრი ბიწაძის დაცვაში ადვოკატის სახით, თუმცა მე მას ვუთხარი, რომ არაფერი არა მაქვს ამის საწინააღმდეგო, მაგრამ ახლა ძალიან დაკავებული ვარ, ერთი მხრივ, ტერაქ-



ტების საქმეში — თბილისში, მეორე მხრივ, ენვერის საქმეში — ბათუმში. ამიტომ ამ ეტაპზე დროს ვერ გამოვყოფ, ერთადერთი იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მე ჩავრთულიყავი, თუ მეორე ადვოკატიც ჩაერთვებოდა და ჩვენ გადავინაწილებდით რაღაც ფუნქციებს, ყოველ შემთხვევაში, იმ ორი-სამი კვირის განმავლობაში, სანამ ეს ორი დიდი საქმე დამთავრდება. ერთი საქმე არის 12 პირიანი, მეორე 9 პირიანი და მოგეხსენებათ, ასეთი საქმეები ძალიან იწელება ხოლმე და უკვე თვეებია მიმდინარეობს. ჯერჯერობით ეს საკითხი ღიაა, მე მისთვის უარი არ მითქვამს.

*— სხვა ლიდერებზეც ხომ არ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმეები?*

— სხვა ლიდერებზე არა მგონია, რომ აღიძრას, რადგან ეს პოლიტიკური დევნა იქნება. მათ უბრალოდ მტკიცებულებები არ ექნებათ. მთავარი ხომ პიარკამპანიაა ჩვენი ხელისუფლებისთვის, როგორც ეს იყო 7 ნოებრის შემდეგ, რაღაცა ჩანაწერები რომ გამოაქვეყნეს და შემდეგ არანაირი საქმე არ მიიყვანეს ბოლომდე.

*— საუბარი იყო, რომ ხელისუფლება 7 ნოემბრის შემდეგ მსგავს ქმედებას ვეღარ გაბედავდა, თუმცა მან უარესი გააკეთა... როგორც ცნობილია, ამ დარბევის დროს თქვენც იქ იყავით...*

— კი, მე დამაკავეს კიდეც. უარესი გააკეთა იმიტომ, რომ ამ აქციის მიზანი, არაერთმა თქვა და მეც ვეთანხმები, იყო არა დარბევა, არა დაშლა, არამედ დასჯა სამაგალითოდ, ისე, რომ საშვილიშვილოდ დაეშინებინათ საზოგადოება. თუმცა ამან მიზანს ვერ მიაღწია გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებაც გამოვიდა ძალიან მკვეთრად და ათასობით ადამიანი დადგა ქუჩაში პროტესტის გამოსახატავად. თითქმის ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ დაგმო ეს და ერთადერთი, მე მგონი, აღმოჩნდა რაღაც ევროპული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, მთავრობის ოჯახის წევრებისგან შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც იბრალებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ვართო. მან გაამართლა ეს დარბევა, დანარჩენი ყველა ამას გმობს. უცხოელებიც მეტ-ნაკლებად. თუმცა მათ თავიანთი ინტერესები აქვთ ხშირ შემთხვევაში, გარკვეულად ცდილობენ, რომ მათ მთავრობის პოზიციები გაამართლონ. თვითონ სახელმწიფო დეპარტამენტიც იძულებული გახდა, ბასის განცხადების შემდეგ განეცხადებინა, რომ აუცილებელია დანაშაულების გამოძიება, რომელიც ჩაიდინეს სამართალდამცველმა ორგანოებმა. ხელისუფლებამ გაბედა ეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისთვის მაინც წამგებიანი იყო ეს ნაბიჯი, მან თავის მიზანს ვერ მიაღწია. ერთი სიტყვით, ვერ გატეხა ხალხი და ვერ აქცია ზომბირებულ საზოგადოებად.

*— ბევრს ეგონა, რომ დეპრესიაში ჩავარდებოდა საზოგადოება, ნიჰილიზმი გაძლიერდებოდა, როგორც ეს 7 ნოემბრის შემდეგ მოხდა, თუმცა ჩვენ დავინახეთ, ამ დღეების განმავლობაში რუსთაველზე რა ხდება...*

— ასეც იქნება, იმიტომ, რომ არის ასეთი გამოთქმა — ხანდახან შეიძლება მთელი ხალხი მოატყუო, ზოგჯერ ხალხის ნაწილი, მაგრამ მთელი ხალხის ყოველთვის მოტყუება შეუძლებელია. მე ამის პერიფრაზს გავაკეთებდი და ვიტყოდი, რომ ხანდახან შეიძლება მთელი ხალხი დააშინო, ზოგჯერ ხალხის ნაწილი, მაგრამ მთელი ხალხის ყოველთვის დაშინება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე რაღაცა ზღვარი არსებობს, რომელსაც როდესაც გადალახავს საზოგადოების ნაწილი, იქ უკვე შიში აღარ მუშაობს. ხალხი გადალახავს ამ ყველაფერს, არათუ ასეთი რეჟიმები, არამედ მუბარაქების და სხვა არაბული რეჟიმები, რომელიც ათწლეულები არსებობდნენ, სხვათა შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ფეისბუქმა დიდი გავლენა მოახდინა ამაზე და ამით დაემხო ეს რეჟიმები. რეპრესიული და დიქტატორული რეჟიმი გაძლებს გარკვეული ხანი, მაგრამ ის მუდმივად ვერ იქნება. გარეგნულად თითქოს რამდენადაც ძლიერია, იმდენად შინაგანად სუსტდება და შიგნიდან ხრავს თავის თავს. ერთ მშვენიერ დღეს უკვე იმდენი ხალხი მოახერხებს გამოსვლას, რომ ეს აუცილებლად გადაიზრდება ეროვნულ დაუმორჩილებლობაში. დიქტატორულ ხელისუფლებას ვერასოდეს ვერ მოერევა ოპოზიცია ვერც პლასტმასის მილებით, ვერც ხის ფარებით და თუნდაც ცეცხლსასროლი იარაღით, რამდენიმე ათეული და ასეული ადამიანიც რომ იყოს მათ რიგებში შეიარაღებული, ეს ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს. ერთადერთი ძალა, რომელიც მას მოერევა, ეს არის ხალხის ერთობლიობა. ასი ათასობით და უფრო მეტი ადამიანი როდესაც გამოვა გარეთ, ეს იქნება ეროვნული დაუმორჩილებლობა და ხელისუფლება უკვე ვეღარ მართავს ამ პროცესებს. თუმცა საზოგადოებას აქამდე მისასვლელად დრო სჭირდება. მთავარი, შიშის ფაქტორი, მე ვფიქრობ, რომ მას უკვე გადალახული აქვს.

*— საუბრისას აღნიშნეთ, რომ თქვენც იყავით დაკავებული... რამდენ ხანში გაგათავისუფლეს და ზოგადად რა ხდებოდა დაკავების შემდეგ?*

— მე მანქანიდან გადმომიყვანეს და დამაკავეს. უბრალოდ ან იმიტომ, რომ მიცნეს და ანდა იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძემ დამირეკა დაახლოებით პირველ საათზე და მთხოვა დახმარება, ხალხს იჭერენო. ან ამ სატელეფონო ზარს მოყვნენ და ან უბრალოდ მანქანის ნომერი გადაამოწმეს, რადგან საკმაოდ დიდხანს, ორი საათი თუ საათნახევარი არ მატარებდნენ და აზუსტებდნენ, ვიყავი თუ არა დასაკავებელი. როგორც ჩანს, ის ავტობუსიც, რომელიც უკვე გავსებული იყო თავგაჩეხილი ადამიანებით, დაახლოებით ორმოცამდე ადამიანი ჩაწყობილი იყო თევზებივით, აი იმ ავტობუსში ამიყვანეს და ეგრევე დაიძრა ავტობუსი. ერთმა ჩემმა ნაცნობმა მოსწრებულადაც კი იხუმრა — ერთი კაციც და გავდივართო. ავტობუსები რომ მგზავრებს ელოდებიან, ისე მოუვიდათ. როგორც ჩანს, ამ ავტობუსსაც ჩემთვის აყოვნებდნენ. დამადეს ხელბორკილი და ავტობუსიც მაშინვე წავიდა. იქ მე ვნახე თავგაჩეხილი ადამიანები. ჯერ მიგვიყვანეს დიდუბის კაპეზეში, სადაც ადგილი არ აღმოჩნდა და პირდაპირ ავტობუსიდან ჩამოუსვლელად მოდულის კაპეზეში წაგვიყვანეს. თითქმის ღამის სამი საათი ხდებოდა, მოდულის კაპეზეში რომ მიგვიყვანეს და გადაგვანაწილეს საკნებში. იქაც კი 28 ადგილი ჰქონდათ მხოლოდ და დანარჩენი ავტობუსიდან ჩამოუსვლელად გაუშვეს რუსთავში. დილამდე იქ ვიყავი, დილით გამოგვიყვანეს, უკვე ხელბორკილების გარეშე ჩაგვსვეს მიკროავტობუსებში, მიგვიყვანეს დიდუბის კაპეზეში, სადაც ფოიეში დაახლოებით 150 ადამიანი იყო და ყველა ფეხზე იდგა. იქ გადაარჩიეს ასაკის მიხედვით ადამიანები, რატომღაც 50 წელს ზემოთ ვინც ვიყავით, ჩვენი ჯგუფიდან 25 აღმოვჩნდით ასეთი, მანამდე ჩვენს იქ მიყვანამდე ასევე სხვა ჯგუფებს შორის გადაურჩევიათ ასაკოვანი ხალხი. მოკლედ, ჩაგვსვეს ავტობუსებში და გაგვიშვეს სახლებში. თუმცა მანამდე ჩამოგვართვეს მობილური ტელეფონები და დღემდე არ დაუბრუნებიათ. ძარცვის ახალი მეთოდი შემოიღეს — დაკანონებული ძარცვა, არც ერთ კანონმდებლობაში ეს არ არის, არც ერთი ოქმი არ შეუდგენიათ, მაგრამ ყველას მობილური ტელეფონი წაიღეს. როგორც ნაგვისყუთში ჩაყრი ნაგავს, ისე ჩაყარეს ყუთში ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე. მოკლედ, ერთი ღამე მომიწია საკანში ყოფნა. აქვე გეტყვით, რომ ჩემთან ერთად დაკავებული ჰყავდათ ოთხი ქალბატონი, მათ შორის ორი ჩემი ნაცნობი, თუმცა ისინი ჩემთან ერთად არ გაუთავისუფლებიათ. ღვთის მადლით, მე ამ შემთხვევაში გადავრჩი ფიზიკურ ძალადობას, იმ მიზეზების გამო, რომ როგორც ჩანს, ეჩქარებოდათ და ავტობუსი მხოლოდ მე მიცდიდა. მერე უკვე იქ მიყვანილს აღარავინ შეგვხებია, როდესაც ეს კაციჭამია, ერთუჯრედიანი ე.წ. სპეცრაზმელები მოგვშორდნენ. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ აღარავინ უცემიათ, თუმცა ხალხი ყვება, რომ დასაკითხ ოთახებში სისხლის გუბეები იდგაო.

*— გავრცელდა კვინტრაძის ფოტომასალა, სადაც ნათლად ჩანს, რომ ის ცოცხალი და ხელბორკილდადებული რუსთაველზეა სხვებთან ერთად, თუმცა ის შემდეგ მაღაზიის სახურავზე გარდაცვლილი იპოვეს. გაჩნდა ეჭვები, რომ ის დაკავების შემდეგ არის მოკლული და იქ შეგდებული...*

— ამას ეჭვები რად უნდა, ფაქტია, რომ ის შემდეგ არის მოკლული და მე ვვარაუდობ, რომ დაკარგულთა შორის არაერთი გვამი გამოჩნდება კიდევ.

*— ბატონო გელა, რამდენად იყო შესაძლებელი ამ ყველაფრის თავიდან აცილება?*

— ძნელია ამის თქმა. რა თქმა უნდა, მიტინგის დაშლა შეიძლებოდა, მაგრამ დარბევა და სამაგალითოდ ასე მკვლელობების მიზნით, ასეთი სპეცოპერაციის ჩატარება ყოვლად დაუშვებელი იყო.

## ხელისუფლება ადამიანურ სახეს კარგავს!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ბა ქვეყანაში.

— არავინ ამ სახელმწიფოში არ მისცემს საშუალებას ვილაც ექსტრემისტებს, საკუთარი ამბიციური, არაჯანსაღი დამოკიდებულების გამო ძალადობა გამოიყენონ ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, — აღნიშნა მინაშვილმა.

მინაშვილმა აღშფოთება გამოთქვა მათ მიმართ, ვინც 26 მაისს მომხდარი ფაქტი 9 აპრილს შეადარა. — ჩვენ კარგად მოვუსმინეთ იმ საუბრებს, რომლებიც გადიოდა იმ ავადსახსენებელი ოჯახის წევრებს შორის. ეს ხომ ნათელი და მკაფიოა, — აღნიშნა მინაშვილმა. მანვე პირობა დადო, რომ ამ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ადამიანები ვერასდროს ჩაშლიან დამოუკიდებლობის დღეს.

ნინო ბურჯანაძე უმრავლესობის წევრმა კობა ხაბაზმაც გააკრიტიკა. მისი თქმით, 1989 9 აპრილის მონაწილეა, ნინო ბურჯანაძე კი იმ დროს, ალბათ, ბრილიანტების თვლების შეგროვებით იყო დაკავებული. — მაშინ ჩვენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით და არა ანზორიკოს მსგავსად გრუს ჯარების შემოსაყვანად, სულ სხვა ღირებულებები, ოცნებები გვქონდა ქვეყანას. 9 აპრილი იყო იმ თავისუფლების ხის დარგვის დასაწყისი, რომელიც დღეს იზრდება, — აღნიშნა ხაბაზმა და იქვე დაამატა, რომ საქართველოში ფესვი გაიდგა თავისუფლების ხემ და ვერანაირი ბურჯანაძეები, ორჯონიკიძეები და მახარაძეები მას ვერაფერს ვეღარ დააკლებენ.

კობა ხაბაზის თქმით, ზოგიერთი ოპოზიციონერი ახლა მგზნებარედ გამოდის, არადა, მათ ასეთი გამოსვლები არ ჰქონიათ მაშინ, როდესაც ბურჯანაძე ოკუპანტების აღლუმზე იდგა. ხაბაზმა ბურჯანაძეს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის საქმეთა გამგრძელებელი უწოდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური ნინო ბურჯანაძესა და მის თანამოაზრეებს რჩევას აძლევს, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ვაკანტური ადგილი დაიკავონ ან ედუარდ კოკოითის გაუწიონ მეტოქეობა.

პრესკონფერენციაზე ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ამ ადამიანების საქმიანობა დასრულდა.

— მათი მოღვაწეობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დასრულდა. ნებისმიერ მათგანს აქვს შესაძლებლობა, სხვაგან გამოიჩინოს თავი, მაგალითად, ვაკანსიაა აფხაზეთში და შეუძლიათ, იქ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ასევე მიმაჩნია, რომ ბურჯანაძე არ იქნებოდა ცუდი მეტოქე კოკოითისთვის არჩევნებზე, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

წიკლაურის თქმით, ჩანაწერებში, რომლებიც გამოქვეყნდა, პირდაპირ არის საუბარი იმაზე, რომ მოვლენათა განვითარების შემთხვევაში კოჯრის ბატალიონს გრუს სპეცრაზმთან დაპირისპირება მოუწევდა.

„ნოღაიდელი, ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკური ფიგურები, საერთოდ არ არსებობენ, იმიტომ რომ ყველაფერი ცხადი იყო, როდესაც რუსეთში ჩავიდნენ და პუტინთან და მედვედევთან ჰქონდათ მოლაპარაკებები საქართველოს შესახებ. ეს პოლიტიკური ფიგურები ჩემთვის დასრულდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვილაცას შეუძლია, მივიდეს და ამ ადამიანების იზოლაცია მოახდინოს", — განაცხადა წიკლაურმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება არ აპირებს, გამოიყენოს შექმნილი პოლიტიკური ვითარება იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების იზოლაცია მოახდინოს, რადგან მათ ისედაც კარგად მოახდინეს პოლიტიკური იზოლაცია ქართველი საზოგადოებისაგან.

# „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქვეყნის მმართველმა რეჟიმმა უპრეცედენტო სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა. პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, სწორედ მაშინ როდესაც დამსწრე საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობის დღის დადგომას ზეიმობდა, ჩაატარა სადამსჯელო სპეცოპერაცია, რომლის მიზანსაც, არა აქციის დაშლა და რუსთაველის გამზირის განთავისუფლება, არამედ აქციის ორგანიზატორებისა და თითოეული მონაწილის სასტიკი, სამაგალითო დასჯა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის დაშინება იყო. ამ სისხლიან სადამსჯელო ქმედებას,როდესაც მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს გასაქცევი გზა არ დაუტოვეს,ამ დროისათვის 4 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და ასობით ადამიანიადაკარგული, ნაცემი და ნაწამები. სახელმწიფო ტერორის მსხვერპლი გახდნენ ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები.

ქვეყანაში მიმდინარეობს მასობრივი უკანონო დაპატიმრებები. სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიანი აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს არა მარტო დაკავებისას, არამედ მოგვიანებით წინასწარი დაკავების იზოლატორებში.

სადამსჯელო სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო მასობრივი რეპრესიების ახალი ტალღა, განსხვავებული აზრის მქონე პირთა მიმართ. ოჯახებიდან, ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე, პოლიციის განყოფილებაში მიჰყავთ 26 მაისის დილას სადამსჯელო ოპერაციის გატარების დროს დაკავებული და გათავისუფლებული ადამიანები და მათი ოჯახის წევრები. დაიწყო ბადრი ბიწაძის პოლიტიკური დევნაც, შეთითხნილი ბრალდებებით მისი დაპატიმრების მიზნით.

„სახალხოკ რების“ მიმართ რეპრესიები 21 მაისამდე ბევრად ადრე დაიწყო. უკანონოდ დაიჭირეს ჩვენი ასობით მომხრე.დღემდე უამრავი ადამიანი იტანჯება რეჟიმის საპყრობილეებში აბსოლუტურად არა ადამიანურ პირობებში.

ისევე როგორც 1989 წელის 9 აპრილსსაბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ აქციის დარბევის შემდეგ, დაიწყო მომხდარის დემონსტრანტებისთვის გადაბრალება და ცდილობდა სიმართლე არ გამხდარიყო ცნობილი, ანალოგიურად დღევანდელმა ნეო ბოლშევიკურმა რეჟიმმა ჭეშმარიტების დამალვის მიზნით, დეზინფორმაციიის მანქანა აამოქმედა, იმ დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებმაც ნამდვილი სამოქალაქო გმირობა ჩაიდინეს.

თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ეს ადამიანები, ხელისუფლებამ, ნეობოლშევიზმის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, რუსეთის აგენტებად და ხალხის მტრებად მონათლა.

თავსხმა წვიმაში ბოლომდე იდგნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები, რომლებიც უშვებდნენ, რომ ხელისუფლება აქციას დაშლიდა. თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ აქციის დაშლის ნაცვლად, ხალხს სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ. ბოლომდე, ხალხთან ერთად ვიდექით ჩვენც „სახალხო კრების“ ყველა ლიდერი! სამშობლოს, თავისუფლების, დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დასაცავად.

2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი დიქტატორულ სისხლიან რეჟიმად გადაიქცა.

დარწმუნებული ვართ, რომ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს არ შერჩება ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულები და რეჟიმის წარმომადგენლები პასუხს აგებენ დამოუკიდებელი ქართული სასამართლოს წინაშე.

9 აპრილი გახლავთ რუბიკონი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე კომუნიზმის წინააღმდეგ. 26 მაისის დილა შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც ქართველი ხალხის გმირული, თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.



„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

თანაგრძნობას ვუცხადებთ დაშავებულ ადამიანებს;

თანადგომას ვუცხადებთ ყველა დაპატიმრებულს და ვპირდებით რომ ბრძოლას არ შევწყვეტთ!

ჩვენ მივიღეთ უდიდესი დარტყმა, ჩვენ ამ დარტყმამ ვერ წაგვაქცია.

„სახალხო კრება“ აგრძელებს ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის, ბრძოლას სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ბრძოლას იმ დემოკრატიული ფასეულობებისათვის, რომელსაც შეუპოვრად იცავდა 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, დილის 00:15, რამდენიმე ათასი ქართველი გმირი.

„სახალხო კრება“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს 26 მაისის აქციაზე

**სულიკო ასათიანის, ნოდარ ცხადაძის, ვლადიმერ მასურაშვილის, ნიკა კვინტრაძის და მისი მამის, შალვა კვინტრაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მათ ოჯახებს. მომხდარი მთელი ერის ტრაგედიაა. ისინი ბედკრული საქართველოს შვილები არიან. ჩვენ ყველა ერთნაირად გვტკივა.



# იან კარვერი თბილისში პროდემოკრატიული პროტესტის სასტიკი დარბევის მოწმე გახდა

openDemocracy
free thinking for the world

თბილისი, 2011 წლის 26 მაისი ხუთშაბათს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ძალის მასობრივი დემონსტრაციით ზეიმობდა, ისეთივე ტანკებით, რაკეტებით და თვითმფრინავებით, რომლებსაც ის 2008 წელს რუსეთთან მის წარუმატებელ ომში იყენებდა. აღლუმი სულ რაღაც რამდენიმე საათში ჩატარდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ არაადამიანურად დაარბია მანიფესტანტები, რომლებიც დაგეგმილი სამხედრო აღლუმის ჩაშლის მიზნით საქართველოს დედაქალაქის მთავარ, რუსთაველის გამზირზე შეიკრიბნენ.

26 მაისს შუაღამით, ასობით მომიტინგესთან ერთად კოკისპირულ წვიმაში ვიდექი, როდესაც მეგობარმა ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა: □მათ ალყაში მოგაქციეს. გაიქეცი!□ ანტისამთავრობო აქცია, რომელსაც პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა, ოფიციალურად არასანქცირებული და უკანონო გახდა, მაგრამ მანიფესტანტებმა დაშლაზე უარი თქვეს და ფეხს არ იცვლიდნენ თბილისის საკულტო პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან. ისინი გულუბრყვილოდ ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ასობით კარგად გაწრთვნილ და ეკიპირებულ სპეცრაზმთან და პოლიციასთან.

დროის ამოწურვასთან ერთად, (აღლუმის რეპეტიცია ჯერ კიდევ იყო დაგეგმილი ზუსტად ამ ადგილზე) კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციას დრო უქმად არ დაუკარგავს, ტერიტორია ყველა მხრიდან ალყაში მოქცია და მანიფესტანტებს ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები დაუშინა, მათ შორის მათაც ვინც უსაფრთხო ადგილის ძიებაში თავს მეზობლად მდებარე მართლმადიდებლური ქაშუეთის ეკლესიის შესასვლელს აფარებდა. წყალმა აქციის პერიმეტრზე განთავსებული ხელნაკეთი ბარიკადები წალეკა და მომიტინგეები (ბევრი ხანშიშესული ადამიანი და სასოწარკვეთილი ახლაგაზრდა) ურიცხვმა პოლიციელმა გადამეტებული ძალის გამოყენებით დაარბია.

დაჯავშნულმა და სახანძრო მანქანებმა წყლის ჭავლის გამოყენებით მომიტინგეების ნაწილს პარლამენტის შენობის სიღრმისკენ, ნაწილს კი თავისუფლების მოედნისკენ უბიძგა, სადაც კიდევ უფრო მეტი პოლიციელი მათ ისე ელოდებოდა, როგორც გასაჟლეტ ფარას. მათ, ვინც სწრაფად გაქცევა ვერ მოახერხა, პლასტიკური ხელბორკილები დაადეს, ცემეს და მიწაზე დაყარეს. მათ გარშემო პატარა ჯგუფები მორიგეობდნენ, რომლებიც ამ ადამიანების საპატიმროებში გადაყვანისთვის ტრანსპორტს ელოდებოდნენ.

ამ დროს ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი: შეშფოთებული მოხუცი მამაკაცი, ორ სპეცრაზმელს ეკლესიის ტერიტორიიდან მოჰყავდა; მან გონება დაკარგა და მიწაზე დაეცა. თავდაპირველად პოლიცია მე და სხვა ჟურნალისტებს ადგილს არ გვაკარებდა, გვერდით იდგა და არაფერს აკეთებდა მოხუცის დასახმარებლად, რომელიც მიწაზე ეგდო და როგორც ჩანს გულის შეტევის გამო კონვულსიებში ბორგავდა. ამ დროს მეგობარი ამერიკელი ჟურნალისტი (ჯეფრი სილვერმანი) და მე მოხუცის გადარჩენას შევაცადეთ და დაჟინებით მოვითხოვეთ სასწრაფო დახმარების გამოძახება.

დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, თავისუფლების მოედნიდან სასწრაფო დახმარების ესკორტი გამოჩნდა. ეს მძიმე აღნაგობის მამაკაცი მანქანამდე ექიმმა, სილვერმანმა და მე გადავიყვანეთ, მაშინ როდესაც პოლიცია სასტიკად ესხმოდა თავს მამაკაცების ჯგუფს, რომლებიც სასოწარკვეთილები ცდილობდნენ პარლამენტის შენობის დატოვებას და თითქოს ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ მათ სამათალდამცველთა ჯგუფი უსაფრთებოდა. პოლიციას აშკარად ნებისმიერი წინააღდეგობის მოსპობა უფრო აღელვებდა, ვიდრე იმ დაკავებული მომიტინგეების ან მოწმეების მოწოდებები დამხარებაზე, რომლებსაც გატეხილი თავებიდან სისხლი სდიოდათ.

ახლა უკვე დათრგუნულ და დემორალიზებულ, ყველა მხრიდან პოლიციელებით გარშემორტყმულ ტყვეებს მარშით მიაცილებდნენ, როგორც აღლუმზე ადგილობრივი და უცხოური მედიის კამერების დასანახად. პოლიციელთა გრძელმა კოლონებმა იმ მიმართულების გადაკეტვა დაიწყეს, საიდანაც თავად მოვიდნენ ისე, თითქოს ეს მეორე დღის მოვლენებისთვის მოსამზადებელი მარში გახლდათ.

სილვერმანმა და მე ნელნელა თავისუფლების მოედნისკენ გადაადგილება გადავწყვიტეთ, ჩავუარეთ პარლამენტის წინ აღლუმისთვის განთავსებულ დალეწილ ხის სცენას და საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ მიმდინარეობდა კინოს მოყვარულთა ევაკუაცია კინოთეტრ რუსთაველის შენობიდან, რომლის ვიტრინებიც მთლიანად ჩამსხვრეული იყო.

საპროტესტო აქცია უკვე სრულად დარბეული იყო და პოლიციელთა მრავალრიცხოვანი კორდონი ტერიტორიას ჯერ არ ტოვებდა, რომ სილვერმანმა მიწაზე დაცემული უყურადღებოდ მიტოვებული ადამიანი დაინახა, რომელიც ერთი შეხედვით ან კვდებოდა ან უკვე გარდაცვლილი იყო. ეს მომიტინგე კინოთეტრთან ახლოს, რუსთაველის გამზირზე ტროტუართან იწვა.

ამ ადამიანის შესამოწმებლად ექიმები მხოლოდ სილვერმანის აღშფოთებისა და დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მოვიდნენ. მიუხედავად ამისა, უკვე გვიანი იყო და ადამიანი გარდაცვლილი გალხდათ. მას არ ჩაუტარდა არანაირი სამედიცინო დახმარება, ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი, არამედ ექიმებიც და პოლიციელებიც ჩვენ გვემუქრებოდნენ და იმაზე იყვნენ კონცენტრირებულები, რომ როგორმე ჩვენ და სხვა ჟურნალისტებს ამ გარდაცვლილი ადამიანის ფოტო არ გადაგვეღო.

შემდეგ ექიმებმა სასწრაფო დახმარების მანქანას გადაადგილება სთხოვეს ისე, რომ მედიას ვერ დაენახა ის, თუ როგორ გადაჰყავდათ გარდაცვლილი ადამიანი საკაცეზე, რადგან ის უკვე ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ჩანს განზრახვა იმაში მდგომარეობდა, რომ სილვერმანის სიტყვები ვერავის გაეგო; ის გარდაცვლილისკენ მიუთითებდა და ქართულ და რუსულ ენებზე გაჰყვიროდა □ის □ ადამიანია და არა ნაგავი. რამე გააკეთეთ!□

პოლიცია სულ უფრო გაღიზიანებული ჩანდა, ამიტომ საკუთარი უსაფრთხოების მიზნით ჩვენ მალევე დავტოვეთ ტერიტორია, თუმცა მანამდე კიდევ რამდენიმე ფოტო გადავიღეთ.

მეორე დღეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეტაკების დროს ორი ადამიანი დაიღუპა (ერთი მომიტინგე და ერთი პოლიციელი) და ბევრი ჰოსპიტალიზირებულია. შსს-ს თანახმად ორივე ადამიანის დაღუპვაში ბურჯანაძის მხარდამჭერთა ესკორტია დამნაშავე, რომელიც პოლიციის თავდასხმით გამოწვეული ქაოსისთვის თავის დაღწევას უხეშად ცდილობდა. ჩვენ ვეჭვობთ, რომ მსხვერპლი მეტია, და ის გარდაცვლილი ადამიანი რომელიც ჩვენ ვნახეთ, დაღუპულთა ოფიციალურ სიაში არ იქნება. ყველა შემთხვევაში, ის თუ როგორ ეპყრობოდნენ მას, პოლიტიკური ჩიხის ორივე სუბიექტის მხრიდან უდიდესი უპატივცემულობისა და უგუნურების დემონსტრირებაა.

გათენდა, კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო და უკანონო საპროტესტო აქციისა და მისი სასტიკი დარბევის ყველა კვალი გაქრა. სამხედრო აღლუმი გეგმის თანახმად ჩატარდა და ქართველი მაყურებლები აკვირდებოდნენ იმას, თუ როგორ ჩაიარა მისმა ერთ დროს დამარცხებულმა არმიამ იმ ქუჩაზე, რომელზეც იმავე დილას, მისმა ძლევამოსილმა პოლიციამ ძალის გამოყენებით სასტიკად დაარბია ის, რასაც გარემოებების გათვალისწინებით, ყველაზე უკეთ პროდემოკრატიული პროტესტის სახელდება მოუხდება

**იან კარვერი**

# პოლიტიკაში არაფერი მესაქმებოდა

## დევნილობიდან დაბრუნებული მომღერალი საქველმოქმედო კონცერტის გამართვას აპირებს

თეა მარხვაიძე

გასული წლის დეკემბერში „ახალი თაობა“ წერდა მომღერალ გიორგი ჩიტაურის შესახებ, რომელსაც საზოგადოება ფოლკლორული ჟანრის სიმღერებით იცნობს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მას საქართველოდან გაქცევა მოუხდა.

ამის მიზეზი გასული წლის მაისში ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები გახდა. არჩევნების



გამო მას რაღაცნაირად პოლიტიკაში მოუხდა ჩართვა. მისი სახელი ოპოზიციას დაუკავშირეს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა.

მან საქართველო დატოვა და დროებით უკრაინაში წავიდა საცხოვრებლად. როგორც ჩანს, ამ პერიოდში მან ხელისუფლებასთან პრობლემები მოაგვარა და დაამტკიცა, რომ პოლიტიკაში რაღაცნაირად აღმოჩნდა.

— ეს იყო დიდი შეცდომა. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის. მე არც პოზიციის და არც ოპოზიციის მხარდამჭერი არა ვარ. ჩემი საქმეა სიმღერა, — განუცხადა „ახალ თაობას“ დევნილობიდან დაბრუნებულმა ჩიტაურმა.

ის საქართველოში 25 მაისს ჩამოვიდა. მის ჩამოსვლას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან კავშირი არა აქვს. ის 25 მაისს პირდაპირ თიანეთში წავიდა, სადაც თავისი მეგობრის, ტრაგიკულად დაღუპული თეონა ქუმსიაშვილის საღამოზე გამოვიდა.

ამ დღეებში ის თავის მეგობრებთან ერთად თბილისში კონცერტის ჩატარებას აპირებს. კონცერტი საქველმოქმედოა და ტაძრის აღსადგენად თანხის შეგროვებას ისახავს მიზნად.

— ამ კონცერტს მეუფე თადეოზის კურთხევით ვატარებთ. თიანეთისა და დუშეთის საზღვარზე არის ფუძნარის ეკლესია. ის ძველი ეკლესიაა და დანგრეულია. მას დიდი ისტორია აქვს და აუცილებელია მისი აღდგენა. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ამ საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ამისთვის კონცერტს ჩავატარებთ. კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად ტაძრის აღდგენას მოხმარდება, — ამბობს გიორგი ჩიტაური.

კონცერტის ჩატარების ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. ის 8 ან 9 ივნისს გაიმართება. კონცერტის შემდეგ ჩიტაური ისევ უკრაინაში მიდის, ოღონდ ამჯერად — არა როგორც პოლიტიკური დევნილი.

— მე ჩემი საქმე მაქვს. ეს პოლიტიკა არ არის. ჩემი საქმეა სიმღერა. უკრაინაში არის ქართული ცენტრი „იბერია“. ამ ცენტრს მანანა სულაქველიძე ხელმძღვანელობს. ამ ცენტრში ბავშვებს ქართულ სიმღერას ვასწავლი. მათ ქართულ სულს ვუნარჩუნებ. ეს ბევრად დიდი საქმეა, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობა. მე ქართველ ხალხს ამით უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან, — ამბობს ჩიტაური.

# რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა გაუარესდება



## რას ვარაუდობენ რუსი ექსპერტები

თეა მარხვაიძე

აფხაზებს სერგეი ბაღაფში ჯერ მიწისთვის არ მიუბარებიათ. სოხუმში ისევ გლოვაა გამოცხადებული, თუმცა, სამგლოვიარო განწყობა პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში ხელს არავის უშლის. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში საარჩევნო მარათონი უკვე დაიწყო. ეს გასაკვირი არ არის. აქ პრეზიდენტი უახლოეს სამ თვეში უნდა აირჩიონ.

რუსი ანალიტიკოსების მტკიცებით, ბაღაფშის მოულოდნელი გარდაცვალება აფხაზეთში პოლიტიკურ ვითარებას სერიოზულად გაამწვავებს. მათი თქმით, მოულოდნელობა, რომელსაც სახელად ბაღაფშის სიკვდილი ჰქვია, რუსი პოლიტიკოსებისთვისაც გარკვეული ტესტი იქნება.

ამასთან, ანალიტიკოსები წინასწარ ამბობენ, რომ სოხუმი არასდროს მოინდომებს რუსეთთან „უმცროსი ძმის“ როლის შესრულებას, მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება აფხაზთა ლიდერი.

მართალია, აფხაზებს მოულოდნელად მოუწევთ არჩევნების ჩატარება, მაგრამ კანდიდატები მრავლად იქნებიან. როგორც ექსპერტები ამბობენ, აქ ისედაც უკვე ემზადებოდნენ არჩევნებისთვის.

კანდიდატების სიმცირეს არც მსოფლიო უსაფრთხოების ევროპული და აზიური პროგრამების ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლაი ზლობინი ვარაუდობს.

— კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოში მემკვიდრის მოძებნის პრობლემა არ არსებობს. აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ამ პასუხისმგებლობის აღება, — ამბობს გამოცემა „როსბალტთან“ საუბარში ზლობინი.

რუსი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში პრეზიდენტობისთვის აუცილებლად იქნება ბრძოლა. ზლობინი დარწმუნებულია, რომ ყველა კანდიდატს ერთი პლატფორმა და სტრატეგია ექნება.

უკანასკნელად საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში 2009 წელს ჩატარდა. ამ პატარა, ნახევრად აღიარებულ რესპუბლიკაში პრეზიდენტობის საკმაოდ ბევრი მსურველი აღმოჩნდა.

ბაღაფშის გარდა, ამ პოსტის დასაკავებლად კიდევ 4 კანდიდატი იბრძოდა. ესენი იყვნენ: აფხაზეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, მეცნიერი ვიტალი ბღანბა, „აფხაზეთის სანაოსნოს“ გენერალური დირექტორი ზაურ არძინბა და აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიის თავკაცი ბესლან ბუტბა.

აქედან სამს — ბაღაფშს, ხაჯიმბასა და არძინბას — ერთმანეთისთვის ძალები ადრეც ჰქონდა მოსინჯული. ისინი ერთმანეთს კონკურენციას 2004 წლის ოქტომბერში გამართულ არჩევნებში უწევდნენ.

იმ არჩევნებში მეორე ტურის დანიშვნა გახდა საჭირო. მეორე ტური 2005 წლის 12 იანვარს გაიმართა. გამარჯვება ახლახან გარდაცვლილ ბაღაფშს დარჩა. რუსეთის მოთხოვნით ხაჯიმბამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. ეს პოსტი მან მალევე მიატოვა და მას შემდეგ ოპოზიციაში მოიკიდა ფეხი. ის დღემდე აფხაზეთის ერთიანობის ფორუმის ლიდერია.

გამოცემა „როსბალტის“ ვარაუდით, ბაღაფშის მოულოდნელი სიკვდილი აფხაზეთში პოლიტიკურ ვითარებას ძალიან გაამწვავებს. ბაღაფშმა ვერ მოასწრო თავისი მემკვიდრის ოფიციალურად დასახელება.

აფხაზური კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურის გარდაცვალების შემთხვევაში არჩევნები სამი თვის ვადაში უნდა ჩატარდეს. აფხაზები ახალ პრეზიდენტს აგვისტოს ბოლოს აირჩევენ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტის პოსტის დაკავებას ის ადამიანებიც შეეცდებიან, რომლებიც ბაღაფშის გუნდს წარმოადგენდნენ. დიდი ალბათობაა, რომ კენჭს ალექსანდრე ანქვაბი და სერგეი შამბა იყრიან. პრეზიდენტობისთვის აუცილებლად იბრძოლებს რაულ ხაჯიმბაც, რომელმაც წინა ორი საპრეზიდენტო არჩევნები წააგო.

რუსი ექსპერტები თვლიან, რომ პრეზიდენტობისთვის ბრძოლა მწვავე ხასიათის იქნება. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ კრემლი ღიად მხარს არავის დაუჭერს. ანალიტიკოსები იხსენებენ 2004 წლის არჩევნებს, როცა კრემლი რაულ ხაჯიმბას ღიად უჭერდა მხარს, რამაც აფხაზ საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენა იქონია.

— კრემლი, ალბათ, თავს შეიკავებს რომელიმე კანდიდატის აქტიური მხარდაჭერისგან. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ძლიერის გამოვლენა და მასთან ურთიერთობების დამყარება უფრო მომგებიანია, — ამბობს „როსბალტთან“ საუბარში ექსპერტი ალექსანდრე მუხინი.

ექსპერტები თვლიან, რომ გაუმართლებელი იქნება, თუ კრემლი ამ არჩევნებში ჩაერევა, რადგანაც ამას საზოგადოება, როგორც მეფისნაცვლის დანიშვნას, ისე აღიქვამს.

აფხაზეთის აღიარების შემდეგ აქ რუსეთის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. იქაურობა რუსი სამხედროებით არის სავსე. ამის მიუხედავად, აფხაზები ცდილობენ ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას. ექსპერტების განმარტებით, ამით აფხაზები სამხრეთ ოსეთის საზოგადოებისგან ძალიან განსხვავდებიან.

ოსებისგან განსხვავებით, აფხაზებს არ სურთ, რომ ისინი რუსეთის შემადგენლობაში შევიდნენ და რუსებთან აითქვიფონ. ამასთან დაკავშირებით აფხაზი ჩინოვნიკებიც ღიად საუბრობენ.

— კონფიდენციალურ საუბრებში მე ყოველთვის ვეუბნები ევროპელ კოლეგებს, რომ ჩვენ ვცდილობთ ბალანსის დაცვას. არ გვინდა, აქ მხოლოდ რუსული გავლენა იყოს. ჩვენ გვსურს, აქ ყველა იყოს წარმოდგენილი: თურქეთი, ევროპა, ამერიკა, — ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა.

ექსპერტების განმარტებით, თუ მართლაც ასე მოხდა, მოსკოვისა და სოხუმის დაშორიშორება გარდაუვალია. აფხაზეთში თუ ევროკავშირი და თურქეთი ფეხს მოიკიდებს, ამით საქართველოც ისარგებლებს. რუსი ექსპერტები ამბობენ, რომ თბილისი აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციას შეეცდება.

ალექსანდრე მუხინი მიიჩნევს, რომ სოხუმსა და მოსკოვს შორის ადრე თუ გვიან მაინც გაფუჭდება ურთიერთობა.

— აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ადრე თუ გვიან გამწვავდება. აფხაზმა ელიტამ სიამოვნებით მიიღო ბაღაფშის შეთავაზება, რომელიც საკმაოდ მყიფეა. მას უნდოდა, აფხაზეთი ერთდროულად ყოფილიყო როგორც პრორუსული, ასევე პროთურ-



ქული სახელმწიფო. ეს ბაღაფშს დიდ ფინანსებს მოუტანს. ამაზე არც ერთი მისი მემკვიდრე უარს არ იტყვის, — მიიჩნევს მუხინი.

მისი თქმით, აფხაზებმა რუსებს შეიძლება სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებაზე თანხმობა არ მისცენ. ამ შემთხვევაში, მუხინის აზრით, რუსეთი აფხაზეთში ინვესტიციებს შეამცირებს, ამით კი თურქეთი ისარგებლებს.

ამაზე, როგორც მუხინი ამბობს, კრემლი დიდად არ წუხს. უდარდელობის მიზეზად ის მოსკოვში გაფორმებულ შეთანხმებებს ასახელებს. საუბარია მედვედევისა და ბაღაფშის მიერ გაფორმებულ შეთანხმებაზე, რომელიც აფხაზეთში რუსული სამხედრო ბაზის განთავსებას ითვალისწინებს. ამის გარდა, რუსეთის ხელში გადადის მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები.

მუხინი ამბობს, რომ კრემლს ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს აფხაზეთზე ზემოქმედებისთვის. ამის მიუხედავად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ კრემლს მოდუნების უფლება არა აქვს, რადგანაც, მისი აზრით, აფხაზეთი ნელ-ნელა დგება ფეხზე.

მუხინს აინტერესებს, რა ბერკეტებს გამოიყენებს რუსეთი სოხუმის წინააღმდეგ, თუ მათ შორის გაუგებრობა მოხდება. ეკონომიკური სანქციების დიდი იმედი რუსეთს არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც, როგორც მუხინი ამბობს, აფხაზეთს ზღვაზე გასასვლელი აქვს.

ჯერჯერობით აფხაზები რუსებთან დაპირისპირებას არ აპირებენ. მათ შორის ურთიერთობის გაფუჭებას არც ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები ვარაუდობენ. ამ ეტაპზე ყველაფერი ისე მიდის, როგორც კრემლს სურს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ რაიმე შეიცვალოს.

აფხაზეთში ანტირუსული განწყობა ნელ-ნელა მატულობს. ამას ხელი ტერიტორიულმა პრეტენზიებმა შეუწყო. რუსეთმა აფხაზეთის ოფიციალური ოკუპაცია გადაწყვიტა. მას გაგრის რაიონის წაღება სურს.

ამასთან დაკავშირებით მარტსა და აპრილში აფხაზეთში დიდი მითქმა-მოთქმა მიდიოდა. რუსების ავი ზრახვების შესახებ აფხაზ საზოგადოებას ოპოზიციურად განწყობილმა აფხაზმა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა ამცნო. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში ვლადისლავ არძინბას პრესსამსახურის უფროსი იყო.

მის მიერ დაწერილ სტატიას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ჭორებს ისიც აძლიერებდა, რომ ამასთან დაკავშირებით კომენტარებს არც რუსი და არც აფხაზი ჩინოსნები არ აკეთებდნენ.

— რაში დასჭირდა მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანას იაპონიასთან კურილიის კუნძულების გამო კვლავ ამოტივტივებული პრობლემის ფონზე კიდევ ერთი ტერიტორიული ნაღმი? კითხვა რიტორიკულია თავად რუსებისთვისაც კი, მაგრამ პატარა აფხაზეთისათვის მისი მასშტაბებით ამდენად დიდი ტერიტორიის დაკარგვა კატასტროფის ტოლფასია, — წერს თავის გახმაურებულ სტატიაში ხაშიგი.

მან თავის მკითხველს შეახსენა, რამდენი სისხლი დაღვარეს აფხაზებმა ქართველებთან ომში.

— ძალიან ბევრი სისხლი დაიღვარა იმისათვის, რომ ასე უბრალოდ უარი ითქვას მასზე, თუნდაც მსოფლიოში აფხაზეთის ერთადერთი რეალური პარტნიორის სასარგებლოდ, — მიიჩნევს ჟურნალისტი.

ის აფხაზეთის ხელისუფლებას დამთმობი პოლიტიკის გამო საყვედურობდა.

—ოფიციალური სოხუმი ხომ გაცილებით უფრო დამყოლია, დამთმობია და, რაც ყველაზე მთავარია, მადლიერია, ვიდრე ისინი, ვისაც ეს ხელისუფლება წარმოადგენს. რაღაც გარკვეული დაკვირვების გამოცდილება კრემლს ამასთან მიმართებით უკვე აქვს და სოხუმისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენებით რუსეთი რეალურად, ალბათ, იმედოვნებს 160 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიის მთლიანად თუ არა, ამ მიწის ნახევრის მიღებას მაინც, — წერდა ხაშიგი.

ის ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას ბაღაფშს აკისრებდა. ახლა ამ ტვირთის აღება სხვას მოუწევს, რადგანაც მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ არის.

აფხაზეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რუსეთს არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს. თურმე მოლაპარაკებების დროს მათ რაღაც შეეშალათ და ახლა ეს უკან წაიღეს.

მოსკოვს ტერიტორიული პრეტენზიების უკან წაღება არ ახასიათებს. ეს, წესით, აფხაზებმაც უნდა იცოდნენ. თუ არ იციან, მალე გააგებინებს ამას რუსეთი, რაც აფხაზეთში ანტირუსულ განწყობას კიდევ უფრო გააძლიერებს.

ანტირუსული განწყობის გაღვივებაში თავის როლს აფხაზურ ეკლესიაში მიმდინარე დაპირისპირებაც შეუწყობს. აქაური ეკლესია ორად გაიყო. ამის მიზეზი რუსეთის საპატრიარქოს გადაწყვეტილება გახდა.

რუსეთის პატრიარქის გადაწყვეტილებით, ახალი ათონის სვიმონ კანანელის მონასტრის წინამძღოლად ეფრემ ვინოგრადოვი დაინიშნა. მის კანდიდატურას მხარს აფხაზეთის ეკლესიის წინამძღოლი ბესარიონ აპლიაც უჭერდა.

ნაციონალისტურად განწყობილმა მღვდლებმა კი რუსეთის წარგზავნილი მოძღვარი გადააყენეს. ტაძრის წინამძღოლად მამა ანდრეი ამპარი დაინიშნა, რომელიც ნაციონალისტებს ერთ-ერთ ფრთას წარმოადგენს.

მათ 15 მაისს დიდი შეკრება გამართეს, რომელსაც 2 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა. იმ შეკრებას აფხაზეთის მთავრობა უარყოფითად შეხვდა. შამბამ მაშინვე თქვა, რომ ამან შეიძლება აფხაზებს რუსეთთან ურთიერთობა გაუფუჭოს.

რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებაზე ბევრს საუბრობენ რუსი ანალიტიკოსებიც. ვნახოთ, ყველაფერი წინაა.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

### გუდაურში სამორინეს მოწყობა სანებართვო მოსაკრებლისგან გათავისუფლდება

პარლამენტმა მესამე მოსმენით, 80 ხმით ერთხმად დაამტკიცა სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები.

მის თანახმად, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობა სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლდება.

მედიანიუსი

# თურქეთის პრემიერმა სააკაშვილს პირობა შეუსრულა

## თურქეთში სიარული პრობლემა აღარ იქნება

**1 ივლისიდან საქართველოს მოქალაქეები, ისევე, როგორც თურქეთის მოქალაქეები, ორ ქვეყანას შორის საზღვარს პირადობის მოწმობით გადაკვეთენ.**

**1996 წლის 4 აპრილის სავიზო შეთანხმებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე თურქეთ-საქართველოს შორის მიმოსვლა მარტივდება.**

**სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტი გუშინ საზეიმოდ გახსნეს საქართველოს პრეზიდენტმა და თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. თურქეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივება ხელს შეუწყობს საქართველო-თურქეთს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.**




**ნათია ხურცილავა**

საქართველოს პრეზიდენტმა სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გახსნაზე განაცხადა, რომ თურქეთის პრემიერი სიტყვის კაცია. მან თქვა სიტყვა და შეასრულა კიდეც.

საქართველოს პრეზიდენტი თურქეთთან ურთიერთობის საინტერესოდ განვითარებაზე საუბრობს. ის აღნიშნავს, რომ საზღვრის მეორე მხარეს, როგორც გვეუბნებოდნენ, არა საშიში ხალხი, არამედ ძმები და დები ვიპოვეთ.

— აქ შემოსასვლელად ცალკე მრავალთვიანი პროცედურის გავლა იყო საჭირო. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ იქით მხარეს საშიში ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ჩვენ ვხვდებოდით, რომ იქით მხარეს ძალიან კარგი ხალხია. უცნობი, გაუგებარი, მაგრამ ვხვდებოდით, რომ გვატყუებდნენ. როდესაც ეს საზღვარი გაიხსნა, ჩვენს ყველაზე უფრო თამამ მოლოდინსაც კი აღემატება, ისეთი საინტერესო ხალხი შეგვხვდა, ისეთი საინტერესო ძმები და დები ვიპოვეთ საზღვრის მეორე მხარეს. იმდენად საინტერესოდ წავიდა განვითარება, — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილმა თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯებ ტაიპ ერდოღანს თურქეთის წინსვლის საქმეში წარმატებები უსურვა.

სააკაშვილი აცხადებს, რომ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობა მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ ევროპისთვის და მთლიანად დანარჩენი მსოფლიოსთვის.

— მინდა წარმატება გისურვოთ თქვენს დიდ აღმშენებლობაში, რადგან ძლიერი თურქეთი არის საწინდარი, ასევე პოზიტიური როლით თავის სამეზობლოში მისი ძლიერი მეზობლების წარმატების, ხალხთაშორის მეგობრობის და თანამშრომლობის საუკეთესო მოდელების შექმნის, რომელიც სამაგალითოა არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის, არამედ მთელი ევროპისა და მთლიანად მსოფლიოსთვის, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში ჩამოვიდა.

რეჯებ ტაიპ ერდოღანი:

— სარფის გამშვები-საბაჟო საზღვრის გახსნა ორი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია და ვუსურვებ, რომ ეს იყოს წარმატების საფუძველი ორივე ქვეყნისთვის. 2009 წლის 5 მარტს დაიგეგმა სარფის საზღვრის გახსნა და ბატონ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, როგორც ხედავთ, მაშინ დაგეგმილი პროექტი განხორციელდა. ახლა თურქეთის საზღვრის შემდეგ გაიხსნა საქართველოს მხარესაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ შორის სავიზო რეჟიმი მოიხსნა. თქვენ შეძლებთ თურქეთში ჩამოსვლას არა პასპორტით, არამედ პირადობის მოწმობის ჩვენების საფუძველზე. ეს არის ჩვენ მიერ დაგეგმილი პროექტების პირველი ნაბიჯი. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში უფრო დიდ პროექტებს განვახორციელებთ. ასევე მნიშვნელოვანია სავაჭრო სფეროში განხორციელებული პროექტები, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

რეჯებ ტაიპ ერდოღანმა საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზეც ისაუბრა, რომელიც 200 მილიონზე მეტია.

— 2009 წლიდან ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, საქართველოში ძალიან დიდი ინვესტიციები იქნა განხორციელებული, გნებავთ იმპორტის თუ ექსპორტის სფეროში. დღესდღეობით თურქეთი საქართველოში ახორციელებს 200 მილიონზე მეტი ღირებულების ექსპორტს. მე ბედნიერი ვარ, შემიძლია აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ამას საქართველოს ერთ-ერთი მეგობარი ქვეყანა ახორციელებს. უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ საგარეო ვაჭრობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობის არის სასაზღვრო პუნქტები. სარფის საბაჟოს გახსნა ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ ორ მეგობარ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდეს. ასევე საფუძველი ჩავუყარეთ ხუდონის საბაჟო-საკონტროლო გამშვებ პუნქტს, მაგრამ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტი ყველაზე უფრო დიდი და მოცულობითია, რადგან ჩვენი ექსპორტის 10 პროცენტიდან 90 პროცენტამდე სწორედ ამ სასაზღვრო პუნქტიდან ხორციელდება. როგორც ხედავთ, სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტი თანამედროვე და ძალიან მაღალი დონის, მაღალი ხარისხის პუნქტია, რომელიც საშუალებას აძლევს ორივე მხრიდან ადამიანებმა ძალიან მარტივად გაიარონ საკონტროლო პუნქტები. ამ საზღვარზე 30-ზე მეტი მომსახურე პერსონალია, რომლებიც ემსახურებიან მოქალაქეებს. სარფის საბაჟოს ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ იმათ, ვისაც სურვილი ექნებათ, ორივე მხრიდან, საქართველოდან თუ თურქეთიდან, ყოველგვარი სირთულეების გარეშე შეეძლებათ საზღვრის გავლა. ამ საბაჟოს აქვს სულ 19 შესასვლელი, რომელიც მოდერნიზებულია, რაც წარმატების ნიშანია როგორც საქართველოსი, ასევე თურქეთის რესპუბლიკისა, — აცხადებს ერდოღანი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა გუშინ განცხადება გააკეთა ორ ქვეყანას შორის საერთო კარის გახსნის პრინციპზე.

— მე ვფიქრობ, რომ ძალიან მოკლე ხანში განხორციელდება საერთო გასასვლელის მოდერნიზაცია. ჩვენ განვახორიცელებთ ორ ქვეყანას შორის საერთო კარის გახსნის პრინციპის კიდევ ერთ ახალ საბაჟოს. ეს პროექტი მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის მეგობრობა კიდევ უფრო წარმატებით წარიმართება, რომ ჩვენი მეგობრობა არ არის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი და ის საქმითაც მტკიცდება. ერთი მხრივ, ჩვენ სასაზღვრო პუნქტები გავხსენით თურქეთსა და სირიას შორის. მეორე მხრივ, საქართველოსა და თურქეთს შორის გაიხსნა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერება ამ ხელშეკრულებას, 2012 წლიდან საქართველოსა და თურქეთს შორის მიმოსვლა მთლიანად შესაძლებელი იქნება მხოლოდ საპასპორტო რეჟიმის გარეშე. თურქეთი ყოველთვის იდგა საქართველოს გვერდით, კვლავ გავაგრძელებთ საქართველოს გვერდით ყოფნას, რადგან ის არ არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მეზობელი ქვეყანა, არამედ თურქეთი არის ამავდროულად საქართველოს მეგობარიც. ეს არის ის წერტილი, რომელიც კიდევ ერთხელ აფიქსირებს, რომ საქართველო-თურქეთს შორის არსებობს უფრო მჭიდრო კავშირები და ძალიან სწრაფად ვითარდება ეს კავშირები, — განაცხადა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის პროექტზე, რომელიც მისი რწმენით ასევე წარმატებით დასრულდება, როგორც სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის მშენებლობა.

— ჩვენ ძალიან მჭიდრო კავშირებს ვამყარებთ და ეს კავშირები ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს კავშირები რეგიონში წარმატების, მშვიდობის და განვითარების კიდევ ერთი საწინდარია. იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდეს, მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ ამისთვის. გნებავთ სავაჭრო სფეროში, გნებავთ სხვა სფეროში, — აღნიშნა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა.

# 4 დეპუტატი 26 მაისის დარბევის გამოძიებას მოითხოვს

**ნანა მიშელაშვილი**

**პარლამენტის ოთხმა დამოუკიდებელმა დეპუტატმა საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. 4 დეპუტატი მოითხოვს, შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის 26 მაისს აქციის დარბევისა და 2007 წლის 7 ნოემბერს აქციის დარბევისა და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, თავისუფალ მედიაზე ზეწოლისა და ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს.**



გუშინ პარლამენტში ერთობლივი ბრიფინგი გამართეს დამოუკიდებელმა დეპუტატებმა ჯონდი ბაღათურიამ და პეტრე მამრაძემ და საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვების შესახებ განცხადება გააკეთეს. ერთი დღით ადრე დროებითი კომისიის შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ერთი თვის წინ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და დარბევის გამო საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა, თუმცა, 26 მაისს განვითარებულმა მოვლენებმა ამ პროცესს ახალი ბიძგი მისცა.

— 26 მაისი იმიტომ გამეორდა და დღემდე იმიტომ გრძელდება ძალადობა ჟურნალისტებზე, თავისუფალ მედიაზე, ძალის გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომ არავინ დასჯილა 2007 წლის 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დარბევის გამო, იქ გამოჩენილი სისასტიკის გამო, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და ჟურნალისტების ცემის გამო, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, კომისიის შექმნის პროცედურის დაწყება მარტივდება, თუ ამას ფრაქცია მოითხოვს. მიმართავს თუ არა 4 დეპუტატი საპარლამენტო უმცირესობაში შემავალ 2 ფრაქციას, რომ მათ მხარი დაუჭირონ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას?

„ქართული დასის“ ლიდერის თქმით, თუ რომელიმე ფრაქციამ მხარდაჭერის სურვილი გამოხატა, კარგი იქნება, თუ არადა, დეპუტატებს შორის ხელმოწერების შეგროვება მაინც დაიწყება. ბაღათურიას განცხადებით, 4 დეპუტატის მიზანია, რომ კომისია შეიქმნას და ობიექტურად იქნეს გამოძიებული ის დარღვევები, რომლებიც 26 მაისის აქციის დარბევის დროს მოხდა.

— 5 ადამიანია უკვე დაღუპული. როდესაც ხედავ, რომ ქართველი ქართველს ხელებაწეულს უსწორდება, ყველას ვალდებულებაა, განსაკუთრებით დეპუტატების, მოითხოვონ ასეთი საქმისა და კანონდარღვევების ბოლომდე გამოძიება, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ბრიფინგზე ნოღაიდელის პარტიის წევრმა პეტრე მამრაძემ 7 ნოემბერს „იმედის“ დარბევის შემდეგ ვანო მერაბიშვილის განცხადება გაიხსენა.

— „იმედი“ რომ არ დაგვეხურა, ძალაუფლებას ვკარგავდით, — ეს განაცხადა ვანო მერაბიშვილმა ჟურნალისტ ლატინინასთან ინტერვიუში. ეს არის სრული სიმართლე. ამის შემდეგ ძალადობის ზღურბლს გადავიდნენ, — აღნიშნა პეტრე მამრაძემ.

დამოუკიდებელი დეპუტატის განცხადებით, ხელისუფლება ბრალდებას — სამშობლოს ღალატს — პიარად იყენებს, რაც მიუღებელია. პეტრე მამრაძის თქმით, 26 მაისის შემდეგ არ დარჩა არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც განცხადება არ გააკეთა, მათ შორის იყო: ეუთოს, აშშ-ის მაღალი თანამდებობის პირების განცხადება, რომლებიც მოითხოვენ გამოძიებასა და დამნაშავე პირების დასჯას.

— ამ დარბევასა და სისასტიკეს არაფერი ჰქონდა საერთო დემონსტრაციის დაშლასთან. ეს იყო ფიზიკური ანგარიშსწორება, მთლიანად საზოგადოების, ხალხის დაშინების მიზნით, რომელიც დამთავრდა ტრაგიკულად. აღლუმი რომ ტარდებოდა, 2 ცხედარი ესვენა თურმე იქვე, ერთ-ერთი შენობის სახურავზე. ასეთი აღლუმი ჩაიბარა ადამიანმა, რომელმაც მთელ საქართველოსა და ჩვენს ჯარს უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც გორში რაღაცა მოელანდა და ყველას თვალწინ გაიქცა, ახლა კი აღლუმს იბარებს, — აღნიშნა პეტრე მამრაძემ.

რაც შეეხება კომისიის შექმნას, პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნის უფლება აქვს პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას ან პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს. შესაბამისად, საინიციატივო ჯგუფმა მინიმუმ 30 ხელმოწერა უნდა შეაგროვოს ან რომელიმე ფრაქციის მხარდაჭერა მოიპოვოს.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, 4 დეპუტატის ინიციატივის პროგრამა მაქსიმუმი და პროგრამა მინიმუმი არსებობს.

— თუ ჩვენ გავიტანეთ საკითხი კენჭისყრაზე და უმრავლესობამ ჩააგდო, მაშინ უმრავლესობას მოუწევს კიდევ ერთხელ საზოგადოების თვალში პასუხისმგებლობის აღება და მხარდაჭერა იმ სისასტიკისა, რაც ტელეეკრანებზე ვნახეთ და რაც პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება იქნება უმრავლესობისთვის. თუ ორმა ფრაქციამ, რომელიც უმრავლესობაში არ შედის, მხარი არ დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას, ესეც მათთვის პასუხისმგებლობის აღება იქნება იმ ძალადობაზე, რომელიც გამოვლენილი იყო, — ასეთია ბაღათურიას პოზიცია.

„ქართული დასის“ ლიდერი ამბობს, რომ მზად არის, არა მარტო უმცირესობასთან ითანამშრომლონ, არამედ უმრავლესობის ცალკეულ წევრებთანაც კი, რათა საგამოძიებო კომისია შეიქმნას.

— გამოძიებულ უნდა იქნეს ქართველის მიერ ქართველის მკვლელობა. 5 ადამიანია მოკლული. ხუთივე ადამიანის ჭირისუფალი ვართ ყველა და ათობით არის ნაცემი. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ საქმე ობიექტურად იქნეს გამოძიებული. თუ ამ საქმის გამოძიება არ გინდა, მაშინ, მე ვფიქრობ, უპასუხისმგებლო ადამიანი ხარ და შენი ადგილი საქართველოს პარლამენტში არ არის, — აღნიშნა ბრიფინგზე ჯონდი ბაღათურიამ.

გუშინ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მოთხოვნას 4, დეპუტატის გარდა, კიდევ ორი დეპუტატი შეუერთდა, ანუ მოთხოვნას ხელს აწერენ: ჯონდი ბაღათურია, კარლო კოპალიანი, პეტრე მამრაძე, თამაზ დიასამიძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე და გიორგი ცაგარეიშვილი. კომისიის შექმნისთვის კი 30 ხელმოწერაა საჭირო.

# ფიროსმანის კიდევ ერთი შედევრი აღმოჩენილია

ეკა ირემაშვილი



პრიმიტივისტი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის კიდევ ერთი დაკარგული შედევრი ქართველმა სამართალდამცველებმა ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას აღმოაჩინეს. „დაჭრილი ჯარისკაცი" — ასე ეწოდება ნიკალას ნამუშევარს, რომელიც უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს და ეროვნულ გალერეას დაუბრუნეს. ეროვნულ გალერეას ფიროსმანის შედევრთან ერთად გადაეცა კიდევ 7 სხვადასხვა მხატვრის ნამუშევარი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაკარგვისა და განადგურების შემდეგ, ბოლო წლებში ეროვნულ საგანძურს არაერთი შედევრი დაუბრუნდა. საქართველოს პროკურატურის ძალისხმევით მხოლოდ ბოლო 3 თვის განმავლობაში უკანონო გასხვისებასა და საქართველოდან გატანას გადაურჩა ნიკო ფიროსმანის სამი ნამუშევარი — „კრუხ-წიწილა", „დაჭრილი ჯარისკაცი" და აბრაზე შესრულებული ნახატი „კახური ღვინო".

უნიკალური ნამუშევრების არალეგალური ბრუნვიდან ამოღებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება საქართველოს მთავარ პროკურატურაში თბილისის პროკურორის მოადგილე ვახტანგ იაშვილის მიერ გაკეთდა. ყველა ტილო სპეციალისტების მიერ XIX-XX საუკუნეებით არის დათარიღებული. ექსპერტიზამ უკვე დაადასტურა, რომ ეს ტილო ნამდვილად ფიროსმანს ეკუთვნის და ის პირველი მსოფლიო ომის შემდეგაა შესრულებული. ექსპერტები განმარტავენ, რომ ყველა ნამუშევარი რუსი და იტალიელი მხატვრებისაა და მათ განსაკუთრებული კულტურული ღირებულება აქვს.

ქართველი სამართალდამცველების მიერ ბრუნვიდან ამოღებულია ცნობილი რუსი და იტალიელი მხატვრების შვიდი ნახატი — რიხარდ ზომერის „აღმოსავლური ბაზარი", ნიკოლა როლენის „ზღვის პეიზაჟი", ივან ფომინის „ქალის პორტრეტი ვეზუვის ფონზე", სერგეი ივანოვის „აღმოსავლური ბაზარი", ანტონიო დე კანალეს „ვენეცია" და სტან მარკოს „მოედანი". ასევე ორი უცნობი ავტორის „პეიზაჟი ცხვრის ფარით" და „აღმოსავლური სოფელი".

რაც შეეხება ფიროსმანის ნახატს „დაჭრილი ჯარისკაცი", ის შესრულებულია მუყაოზე ზეთის საღებავებით. მუყაო ქვედა ნაწილში დაზიანებულია, თუმცა, ნახატის ძირითადი ნაწილი შენარჩუნებულია. სპეციალისტებმა უკვე შეძლეს მისი დამუშავება და აღდგენა. როგორც რესტავრატორებმა განმარტეს, შედევრს ძლიერი დაზიანებები მიღებული არ ჰქონია.

# პრაღის კონსერვატორია 200 წლისაა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინციატივით თბილისში პრაღის კონსერვატორიის 200 წლის იუბილე აღინიშნა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში გაიმართა საგანგებო კონცერტი და საიუბილეო მიღება, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. საიუბილეო საღამო კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გახსნა.

პრაღის კონსერვატორიის დაარსებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტების სამწლიანი ციკლი მთელ ევროპაში გრძელდება. პრაღის კონსერვატორია ყველაზე ძველი კონსერვატორიაა ცენტრალურ ევროპაში და ვენისა და მილანის კონსერვატორიების ანალოგია. 1808 წლის 25 აპრილს, გამოქვეყნდა ჩეხეთის არისტოკრატიის განცხადება, რომელიც პრაღაში ვენისა და მილანის მსგავსი სასწავლებლის დაფუძნების აუცილებლობას იუწყებოდა. განცხადება 1808 წლის აპრილში გამოქვეყნდა, ორი წლის შემდეგ კი ჩეხეთის მუსიკის მხარდამჭერი საზოგადოება ჩამოყალიბდა, სადაც სწავლება ერთი წლის შემდეგ დაიწყო.

ჩეხეთის მუსიკის მხარდამჭერი საზოგადოების წყალობით, პრაღის კონსერვატორიაში სწავლა უფასო იყო, შესაბამისად — ხელმისაწვდომი ღარიბი და ნიჭიერი ოჯახიშვილებისთვის. 10 წლის შემდგომ კონსერვატორიის ნაციონალიზაცია განხორციელდა. ამჟამად ის ორ შენობაშია განთავსებული, ქალაქის ძველ და ახალ უბანში. თავისი არსებობის მანძილზე პრაღის კონსერვატორიაში აღიზარდა ნიჭიერი მუსიკოსების მთელი თაობები, რამაც ხელი შეუწყო ჩეხი ხალხის მუსიკალურ განათლებას.

პრაღის კონსერვატორიამ თავისი ორსაუკუნოვანი იუბილის აღნიშვნა 2008 წელს დაიწყო. კონცერტებისა და შეხვედრების სამწლიანი ციკლის საზეიმო კულმინაციად იქცა 2011 წელი და მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „პრაღის გაზაფხული".

# ეკვადორის კულტურის დღეები ბათუმში დასრულდა

ეკა ირემაშვილი

საქართველომ ეკვადორის კულტურის დღეებს პირველად უმასპინძლა. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „არტ კაფეში" კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანა ასათიანმა ჟურნალისტებს საგანგებოდ აცნობეს. მათთან ერთად მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ ეკვადორელი სტუმრებიც, რომლებმაც ნიკოლოზ რურუას საჩუქარი გადასცეს და თავიანთ ფორმებში გამოწყობილებმა იცეკვეს კიდეც.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „არტ კაფეს" პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ შედგა. „არტ კაფე" ღიაა არტისტული საზოგადოებისათვის, სადაც მოეწყობა მცირემასშტაბიანი საღამოები, ხელოვანთა ნაწარმოებების პრეზენტაციები, შეხვედრები ვიწრო წრეში, როგორც სამინისტროს წევრებთან, ისე ქართველ თუ უცხოელ სტუმრებთან. ხელოვანებს ფინჯან ყავასთან ერთად ახალი წიგნები, ბევრი მუსიკა, ძველი აფიშები და ფოტოებით სავსე გარემო ელოდებათ. ამჯერად „არტ კაფემ" ეკვადორელ სტუმრებს უმასპინძლა.

ეკვადორის კულტურის დღეები საქართველოში პირველად ტარდება და იგი თბილისსა და ბათუმში გაიმართა. ეკვადორის კულტურის დღეები სხვადასხვა ღონისძიებას — გამოფენებს, კინოჩვენებებს, კონცერტებს აერთიანებდა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში „ეკვადორის კულტურის დღეები" გაიხსნა. კულტურის დღეები ეკვადორელების ფოლკლორული კონცერტით დაიწყო, რომელშიც მათი ეროვნული ანსამბლები მონაწილეობდნენ. მარჯანიშვილის თეატრში შეკრებილი საზოგადოების წინაშე მოცეკვავეთა და მუსიკალური ანსამბლები წარდგნენ. ეკვადორის კულტურის დღეების გახსნას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები. კონცერტი საქართველოს და ეკვადორის ჰიმნით გაიხსნა, მანამდე კი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტუმრებს სიტყვით მიმართა. კულტურის დღეები ეკვადორელების ფოლკლორული კონცერტით დაიწყო.

ეკვადორის კულტურის დღეების ფარგლებში კინოთეატრ „რუსთაველში" ეკვადორის კინოს დღეები გაიხსნა. გახსნაზე წარმოდგენილი იყო ჰოლივუდში მოღვაწე ეკვადორელი რეჟისორის სებასტიან კორდეროსის 1999 წელს გადაღებული მხატვრული ფილმი „თაგვი, სათაგური და თაგვის დამჭერები", რომელიც ეკვადორის ყოველდღიურ ყოფას ასახავს. კინოჩვენებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ცხადაძე დაესწრო. გარდა ჰოლივუდში მოღვაწე ეკვადორელი რეჟისორის ნამუშევრისა, კინოთეატრ „რუსთაველში" ეკვადორელი რეჟისორების ორ-ორი ფილმი უჩვენეს. მთლიანობაში ეკვადორული კინოს დღეების ფარგლებში 7 ეკვადორული ფილმი იქნა წარმოდგენილი, მათ შორის როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმები. ეკვადორელები ფოლკლორული კონცერტით ბათუმსაც ესტუმრნენ. ეკვადორის ოფიციალური დელეგაციის პრეზიდენტია ეკვადორის ელჩი თურქეთში აუგუსტო საა.

საქართველოს ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) კი ექვსი ეკვადორელი თანამედროვე მხატვრის 60 ნამუშევარი გამოიფინა. ექსპოზიციის სახელწოდებაა „ხელოვნება სიყვარულია, ეკვადორს უყვარს სიცოცხლე". მის გახსნას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილი დაესწრო. საქართველოს ისტორიის მუზეუმში ლათინოამერიკელი მხატვრების მიერ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები გამოიფინა. ერთ-ერთმა ხელოვანმა სალომე ლალამამ საკუთარი ტილო თბილისის ისტორიის მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

**ნიკოლოზ რურუა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:**

— ეკვადორის კულტურის წარმომადგენლები სწორედ თავიანთი ხელოვნების სანახავად მოვიწვიეთ საქართველოში. საქართველოში ეკვადორის კულტურის დღეები პირველად იმართება. ჩვენთვის, ერთი მხრივ — მთლიანად უცნობი, მეორე მხრივ კი ძალიან სასიხარულო, იმიტომ რომ ეკვადორზე არის ამ კონტინენტზე ერთ-ერთი უძველესი კულტურა. პირველი ადამიანის კულტურული ნაკვალევიც კი მათთან არის და ეს 2500 წლის წინაა ნაპოვნი. მათ ძალიან მდიდარი ფლორა და ფაუნა აქვთ და, რაც მთავარია — მეგამრავალფეროვანი კულტურული სიმდიდრე. ძალიან სასიხარულოა მათი სტუმრობა, იმიტომ რომ ისინი უძველესი კულტურის მქონე ხალხია. მიხარია, რომ ეკვადორთან კულტურული ურთიერთობა დამყარდა. ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად მათ აქვთ ძალიან მდიდარი კულტურა. ისინი წარმატებული არიან მხატვრობაში, კინემატოგრაფში, ავანგარდში, მსოფლიო თანამედროვე ხელოვნებაში და სწორედ ამ ნიმუშებს იხილავს ქართველი მაყურებელი კინოთეატრებში. დიდი მადლობა მათ სტუმრობისთვის და, იმედი მაქვს, ჩვენც სიმღერებითა და კულტურით მალე მათთაც გავაოცებთ.

**ანიბალ ჰასამო, ეკვადორელი სტუმარი:**

— ქართველები ძალიან კარგი ხალხი ხართ. ჩვენი მეგობრობა აუცილებლად შედგება. ძალიან ბედნიერი ვარ, საქართველოში რომ ჩამოვედით. იმედი მაქვს, ჩვენი კულტურა მოგეწონებათ. ჩვენთვის დიდი პატივია თქვენს ქვეყანაში ჩვენი კულტურის წარმოდგენა. გვჯერა, რომ ჩვენი კულტურა მოგეწონათ და დადებითი ემოციებით აგავსეთ.

**აუგუსტო საა, ეკვადორის ელჩი თურქეთში:**

— ეს არის პირველ შემთხვევა, როდესაც საქართველოში ეკვადორის კულტურის დღეები იმართება. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი მაქვს, საქართველოში ეკვადორული კულტურა მოეწონათ და ჩვენი მხატვრობა, კინო, ფოლკლორი და ცეკვა-სიმღერა სათანადოდ შეაფასეთ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.
დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.
იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.
გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

❖ სასწრაფოდ დიდუბეში 2 ოთახი წყლით 40კვ/მ და 15კვ/მ საწყობით. ბაზრობასთან (რკინიგზის საავადმყოფოს გვერდით). ფასი: 35000. ტელ: 99-77-53.

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# რუსები საევროპოდ ძლიერდებიან

საქართველოს ნაკრები მიმდინარე წლის სექტემბერში ევრობასკეტზე ითამაშებს და ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მეტოქე რუსეთიც იქნება.

ბოლო დროს რუსეთს კარგი დროება არ უდგას და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშა. გუნდს არც ანდრეი კირილენკო დახმარებია და არც რომელიმე ნატურალიზებული ამერიკელი.

რუსებისთვის ყველაზე უმთავრესი ანდრეი კირილენკოს დაბრუნდებაა, რაზეც კალათბურთელი დადებითად პასუხობს.

— ბოლო ორ სეზონში ახალგაზრდული გუნდით გამოვდიოდით. ევრობასკეტი-2011-ზე შედარებით გამოცდილი და მრავალფეროვანი შემადგენლობა გვეყოლება, რაც უმთავრესად კირილენკოს დაბრუნებით იქნება გამოწვეული. ანდრეი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. იგი რუსეთის ნაკრების კოზირი უნდა გახდეს, — ეს უკვე რუსთა მთავარი მწვრთნელის, დევიდ ბლატის სიტყვებია.

მეორე საკითხი ნატურალიზებულებს ეხება. ჯეი არ ჰოლდენმა რუსებს 2007 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა. მან შუა სეზონში თქვა: ევროპის ჩემპიონატზე სიამოვნებით ვითამაშებო, მაგრამ როცა დევიდ ბლატი მოსკოვში ჩავიდა და ჰოლდენს ნაკრებში დაბრუნების შესახებ ჰკითხა, პასუხად მიიღო: მოვიფიქრებო.

— ჰოლდენს ყოველი სეზონის ბოლოს ვეკითხებით, ითამაშებს თუ არა რუსეთის ნაკრების მაისურით. ყოველთვის ერთგვარ პასუხს ვიღებთ: დავფიქრდებიო. ასე მოხდა ამჯერადაც. თუ იგი ნაკრებში თამაშს მოიფიქრებს, ხომ კარგი, თუ არა — მის გარეშე მოგვიწევს თამაში, — განაცხადა ბლატმა.

ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში ფეხის ტრავმა მიიღო "დენვერის" ცენტრმა ტიმოფეი მოზგოვმა, თუმცა ჯერჯერობით, არ არის ცნობილი მომჯობინდება თუ არა აგვისტომდე.

— ევრობასკეტი 2011-ს დიდ იმედებს ვუკავშირებ. ეს შეჯიბრება გამოცდილებას შემმატებს. კარგია, რომ ჩვენს ნაკრებში ანდრეი კირილენკოც ითამაშებს, რომლისგან ბევრის სწავლა შეიძლება. მას შეუძლია ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიოს, — ამბობს მოზგოვი. ტრავმის მოშუშების იმედი აქვს ასევე ნბამოვლილ ვიქტორ ხრიაპას, რომელიც თამამად აცხადებს, რომ ევრობასკეტზე მის გამოჩენას უნდა ველოდოთ. თუ ეს ყველაფერი ასე მოხდა, რუსთან ნაკრებს, ამჯერად საკმაოდ კარგი შემადგენლობა ეყოლებათ.

# ქეცბაია დანაკლისითა და ოპტიმიზმით ემზადება

**საქართველოს ნაკრები ხორვატებთან სათამაშოდ კი ემზადება, მაგრამ თითქმის ყოველდღე განიცდის დანაკლისს. ჯერ იყო და ნაკრებს უჩა ლობჯანიძე გამოაკლდა, რომელსაც ბარძაყის კუნთი გაუწყდა, შემდეგ ვარჯიშზე კოჭი დაიზიანა ნიკა გელაშვილმა, ხოლო მეკარე ნუკრი რევიშვილი, როგორც ჩანს, თბილისში ტრავმიანი ჩამოვიდა.**

რევიშვილს რუსული პრემიერლიგის გასულ ტურში მოსკოვის „ლოკომოტივთან" თითი ამოვარდნია და თბილისში გადაღებულმა სურათმა თითის იოგის გაწყვეტა დააფიქსირა.სასიხარულოა, რომ ქეცბაიას გუნდს შეუერთდა და საღამოს ვარჯიში ჩაატარა მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ.

ნაკრებს სულ ბოლოს შეუერთდნენ ალექსანდრე ამისულაშვილი, ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა, მათე ვაწაძე და გოჩა ხოჯავა, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილი გუნდს პირდაპირ ხორვატიაში დაემატება.

მიუხედავად პრობლემებისა, ქეცბაია მაინც იმედიანად არის განწყობილი და ეს არც ხორვატულ პრესასთან საუბარში დაუმალავს. ამასთან, ქეცბაია უკვე შერაცხულია იქაური ფეხბურთის მტრად და ხორვატი ჟურნალისტიც ხუმრობანარევი კითხვით ეუბნება, რომ 1997 წელს ზაგრების „დინამოს" კარში გადამწყვეტი გოლის გატანისთვის და 29 მარტს თბილისში მოგებისთვის თქვენზე ძებნაა გამოცხადებულიო.

— მაშინ „ნიუკასლში" ვთამაშობდი. სანახაობრივი თამაში იყო. გოლი 120-ე წუთზე გავიტანე და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავედით, მსგავსი რამ ფეხბურთელის კარიერაში შეიძლება ერთხელ მოხდეს ან საერთოდაც არ მოხდეს. არ დამავიწყდება, რაც იმ მომენტში განვიცადე, არც ზაგრების სტადიონზე ჩამოწოლილი სიჩუმე დამავიწყდება ოდესმე. ჩვენ ფანტასტიკურ გუნდთან ვთამაშობდით, რომელიც მართლაც „კერკეტი კაკალი" იყო. „საჩუქარს" ახლაც გიმზადებთ და ვფიქრობ, თქვენ და მთელ ხორვატიასაც ეს საჩუქარი შოკში ჩაგაგდებთ. ცხადია, სპლიტში იმ ამბიციით ჩამოვდივართ, რომ არ წავაგებთ და ისევე გაგაოცებთ, როგორც თბილისში. გავიგე, რომ ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს სპლიტში არასოდეს მოუგია. ეს კარგი ინფორმაციაა ჩვენთვის, რადგან ზოგადად ტრადიციების მოყვარული ადამიანი ვარ. ამ ტრადიციის შეცვლის მიზეზს ვერ ვხედავ. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ხორვატია ჯგუფის ფავორიტია. საუცხოო მწვრთნელი და ფეხბურთელები ჰყავს. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ჯგუფში პირველ ადგილზეა. ფეხბურთელებიდან მოდრიჩსა და ედუარდოს გამოვარჩევდი. თუმცა, ჩვენ წინააღმდეგ საუკეთესო მოთამაშე არ იქნება. ეს ნიკო კრანჩარია, რომელიც შესარჩევ ციკლში ძალიან მაღალ დონეზე თამაშობდა, — განაცხადა ქეცბაიამ.



# „ბორჯღალოსნები" მზადებას რუმინეთში იწყებენ

საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადებას, ფაქტობრივად, ახლო მომავალში დაიწყებს. □„ბორჯღალოსნები"□ 7 ივნისს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაემგზავრებიან, სადაც ირბ-ს ერთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

"ბორჯღალოსნების" მეტოქეები იქნებიან სამხრეთ აფრიკის "კინგზი", არგენტინისა და ნამიბიის ეროვნული ნაკრებები. ამ გუნდების გარდა პირველობისთვის იბრძოლებენ რუმინეთისა და პორტუგალიის ეროვნული გუნდებიც.

ცხადია, ჩვენი ნაკრების გარდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მასპინძელთა გუნდის თამაშიც, რადგან "მუხის ფოთლები" ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასის გათამაშებაში ჯგუფში "ბორჯღალოსნების" მეტოქეები არიან.

როგორც უკვე გითხარით, საქართველოს ნაკრები რუმინეთში 3 მატჩს გამართავს, 10 ივნისს, ჩვენები სამხრეთაფრიკულ კლუბს დაუპირისპირდება, 15-ში — არგენტინელებს, ხოლო 19 ივნისს მათი მეტოქე ნამიბიელები იქნებიან.

# პოლ სკოულზი დიდ ფეხბურთს დაემშვიდობა

ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ, □„მანჩესტერ იუნაიტედის"□ გულშემატკივრებმა კიდევ ერთი ძალზე გულდასაწყვეტი ინფორმაცია შეიტყვეს —□ კარიერის დასრულება გამოაცხადა „წითელი ეშმაკების"□ ლეგენდამ, პოლ სკოულზმა.

პოლ აარონ სკოულზი □მანჩესტერის□ სკოლის აღზრდილია და ინგლისის მოქმედი ჩემპიონის გარდა, მას არცერთ კლუბში არ უთამაშია. □წითელი ეშმაკების□ მაისურით, ლეგენდარულ ნახევარმცველს 676 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლებშიც მან 150 გოლის გატანა მოახერხა.

„მანჩესტერთან" ერთად, სკოულზს მოგებული აქვს ინგლისის პრემიერლიგა (10-ჯერ), ასოციაციის თასი (3-ჯერ), ლიგის თასი (2-ჯერ), ქომუნითი შილდი (5-ჯერ), ჩემპიონთა ლიგა (2-ჯერ), საკონტინენტთაშორისო თასი და მსოფლიოს საკლუბო მუნდიალი.

1997 წლიდან, სკოულზი ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრი იყო, რომლის რიგებში თამაშს თავი 30 წლის ასაკში, 2004 წელს დაანება. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 66 შეხვედრაში, სკოულზს 14 გოლი აქვს გატანილი.

— „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ასეთი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის შექმნა დიდი პატივია. ფეხბურთიდან წასვლა იოლი გადაწყვეტილება არ ყოფილა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამის დრო იყო. მადლობას ვუხდი სერ ალექს ფერგიუსონს, რომლის კარიც ჩემთვის გუნდში მოსვლის პირველივე დღიდან, ყოველთვის ღია იყო. ამდენი ტიტული სწორედ მისი დამსახურებით მოვიგე, — ციტირებს სკოულზის სიტყვებს უეფა-ს ვებ-გვერდი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან, სკოულზი ალექს ფერგიუსონის სამწვრთნელო შტაბის წევრი გახდება.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა. პლეი-ოფი**

რედინგი-სუონსი ... 2:4

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ვოლგა ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 10 | 5 | 4 | 1 | 18:7 | 19 |
| 2.ზენიტი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:11 | 19 |
| 3.დინამო | 11 | 5 | 4 | 2 | 15:13 | 19 |
| 4.ანჟი | 11 | 5 | 4 | 2 | 10:8 | 19 |
| 5.ლოკომოტ. | 11 | 5 | 3 | 3 | 17:10 | 18 |
| 6.ყუბანი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:9 | 18 |
| 7.რუბინი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:10 | 17 |
| 8.სპარტაკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:14 | 16 |
| 9.ტომი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:16 | 13 |
| 10.როსტოვი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| 11.ტერეკი | 11 | 3 | 3 | 5 | 7:12 | 12 |
| 12.ამკარი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:14 | 12 |
| 13.კრასნოდ. | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| 14.ვოლგა | 10 | 3 | 1 | 6 | 10:9 | 10 |
| 15.ნალჩიკი | 11 | 1 | 6 | 4 | 10:14 | 9 |
| 16.კრ.სოვეტ. | 11 | 1 | 5 | 5 | 7:15 | 8 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-რუსენბორგი ... 3:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ჰონკა ... 0:2
ტპს-მიუპა ... 2:1
ჰაკა-როვანიემი ... 2:0

**ირლანდია. პრემიერლიგა**

დერი-გელვეი ... 6:0
დროჰედა-ბრეი ... 0:1
სლიგო-დანდალკი ... 1:0
დუბლინი-სტ.პატრიკი ... 1:3
შემროკი-ბოჰემიანსი ... 1:0

**არგენტინა. კლაუსურა**

ლანუსი-ურაკანი ... 3:0
გოდოი-ხიმნასია ... 2:2

## კალათბურთი

**ეჩ-2011. ბ ჯგუფი**

**ქალები**

ლუქსემბურგი-შვეიცარია ... 65:71
ალბანეთი-ესტონეთი ... 45:86

**ამხანაგური მატჩი**

იტალია-შვედეთი ... 78:59

## ფრენბურთი

**ამხანაგური მატჩები**

**ქალები**

ჩინეთი-ჰოლანდია ... 3:0
კუბა-დომინიკების რესპ. ... 3:0

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**ქალები**

აზარენკო-მაკაროვა ... 6:2;6:3
შარაპოვა-რადვანსკა ა. ... 7:6;7:5
პეტკოვიჩი-კირილენკო ... 6:2;2:6;6:4

**კაცები**

ჩელა-ფალა ... 4:6;6:2;1:6;7:6;6:2
ნადალი-ლუბიჩიჩი ... 7:5;6:3;6:3
ფერერი-მონფილსი .. 4:6;6:2;5:7;6:1;6:8
სოდერლინგი-სიმონი ... 6:2;6:3;7:6

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დილამ უმაღლესში ჩააბარა

**დილა — სამტრედია 2:0**
**თბილისი. ეროვნული სტადიონი**
**1:0, 2:0 რაჟამაშვილი (45, 47)**

**დილა:** შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, დ.ბაქრაძე, ჭითანავა, ლომიძე, ჯოჯუა, ნოზაძე, რაჟამაშვილი, გოგინაშვილი (სადაღაშვილი 56), ახალკაცი (ბარამიძე 79), ტლაშაძე (ტარიელაშვილი 67)

**სამტრედია:** ჯინჭარაძე, ხუმარაშვილი, თ.შალიკაშვილი, დვალიშვილი, ჩხიკვაძე, ცხადაია, ლომაშვილი, ალავერდაშვილი (რუხაია 46), გ.მიქაბერიძე, ბურჯანაძე (ხვადაგიანი 70), ბაკარანძე

ის რაც მოახერხა ცხინვალის „სპარტაკმა", ვერ შეძლო „სამტრედიამ" და პლეი-აუტში პირველი ლიგის მესამეადგილოსან გორის „დილასთან" დამარცხდა. გორელებმა სამი სეზონი დაჰყვეს პირველ ლიგაში და ალბათ მინიმუმ ერთი წელი კიდევ მოუწევდათ, მაგრამ ახალმა რეგლამენტმა, წელსვე დაბრუნების შანსი მისცა და ეს კარგად გამოიყენეს. საამისოდ, გორელებს ისეთი გუნდის დამარცხება მოუწიათ, რომელსაც ფინანსური პრობლემების გამო გადამწყვეტი მატჩის სათამაშოდ დედაქალაქში ჩამოსასვლელი თანხა არ ჰქონდა. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ „სამტრედია" თბილისში ღამის სამ საათზე ჩამოვიდა. ვერც იმას დავიჩემებთ, ამ პრობლემების მქონდე სამტრედიელებს საერთოდ თუ სურდათ უმაღლესში თამაში.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. შექმნილ რეალურ საგოლე მომენტებს თუ გავითვალისწინებთ, ანგარიშის გახსნა სამტრედიელებს მართებდათ. ჯერ იყო, 35-ე წუთზე, ბურჯანაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ბურთი ოდნავ ასცდა კარს. მალევე გიორგი მიქაბერიძის ძლიერად დარტყმულს გზად დავით ბაქრაძე გადაეფარა.

ტაიმი უგოლოდ დასრულებისკენ მიდიოდა, მაგრამ ბოლო შეტევა „დილასთვის" სასიხარულო გამოდგა. მარჯვენა ფლანგიდან რომან ახალკაცის ჩაწოდებულ ბურთზე ბრძოლაში, ტანდაბალმა დავით რაჟამაშვილმა სამტრედიელთა მეკარესაც აჯობა და ცენტრალურ მცველ თორნიკე შალიკაშვილსაც — 1:0.

პირველი ტაიმის ასეთ დასასრულს, მე-2 ტაიმის ასეთივე უიღბლო დასაწყისი დაემატა, „სამტრედია" კი, ორბურთიანი ფორის გამანეიტრალებელი არ ჩანდა. მეორე გოლიც რაჟამაშვილმა მიითვალა და პირველის მსგავსად, გამოცდილმა ახალკაცმა უასისტენტა. მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შესულმა რაჟამაშვილმა ამჯერად მახვილი კუთხიდან გაიტანა — 2:0.

იმერლებს ფარ-ხმალი არც ამის შემდეგ დაუყრიათ, მაგრამ აშკარა იყო, შიდაქართლელები ასეთ უპირატესობას არ გაანიავებდნენ. არადა, 53-ე წუთზე, „სამტრედიას" ანგარიშში სხვაობის შემცირება მართებდა. მარცხენა ფლანგიდან მიქაბერიძის მიერ ჩაწოდებულ ბურთს დილას მეკარე ასცდა, მაგრამ ვერც ბაკარანძემ და ვერც რუხაიამ ცარიელ კარში ბურთის მოხვედრება ვერ შეძლეს.

***მატჩის შემდეგ***

**გიორგი ცეცაძე, „დილას" მთავარი მწვრთნელი:**

— ყველანი ბედნიერები ვართ. შრომა დაგვიფასდა და ძალიან მოხარული ვარ, რომ მთელი გუნდის შედეგი გამოილო. ეს მიღწევა ყველა ფეხბურთელის, მწვრთნელის, გუბერნატორის და ვანო ხორგუაშვილის დამსახურებაა.

# თბილისის „დინამოს" მესის გამზრდელი ჩაიბარებს

თბილისის „დინამოს" კატალონიელი სპეციალისტები გაწვრთნიან. ეს სიახლე კლუბის გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროპის საკლუბო ჩემპიონის, „ბარსელონას" სამწვრთნელო შტაბის წევრი ალექს გარსია თბილისელთა მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

"დინამოში" იმუშავებს "ბარსელონას" სამწვრთნელო სკოლის კიდევ ორი წარმომადგენელი: მარკ ჰუგეტი კატალონიური კლუბის ფიზმომზადების მწვრთნელია და ამ სფეროში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება.

თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიას კი ანდრეას კარასკო უხელმძღვანელებს. კარასკო ბარსელონაშიც ახალგაზრდა ტალანტებს ეძებდა. იგივეს შეეცდება საქართველოშიც, იგეგმება საკლუბო სტრუქტურის სრული შეცვლა და მისი "ბარსელონას" მოდელის მიხედვით აწყობა.

ახალ მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელები დღეს, „თბილისი მერიოტში" წარადგენენ და კატალონიელი მწვრთნელი კლუბის დაკომპლექტებას დაიწყებს.

ალექს გარსიაზე მოძიებული ინფორმაციით, ის 2009 წელს მუშაობდა "ბარსელონას" იუნიორთა "ა" გუნდის მთავარ მწვრთნელად, მის ხელში გაუვლიათ ლიონელ მესის, ბოიან კრკიჩს და სერხიო ბუსკეტსს, ცნობილია, როგორც გუნდის მეთოდური მომზადების ძლიერი სპეციალისტი.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან რუსთავის "ოლიმპს", სეზონის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვლება. გუნდი უკვე დატოვეს მცველებმა რევაზ ქემოკლიძემ, გიორგი რეხვიაშვილმა და თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა. ჯერ უცნობია, სად ითამაშებს ქემოკლიძე, იაშვილი თბილისის "დინამოში" გადავიდა, რეხვიაშვილთან კონტრაქტის გაფორმება კი თბილისის "დინამოს", "ზესტაფონსა" და ერთ-ერთ უცხოურ კლუბს სურთ. თუმცა, ეროვნული ნაკრების 23 წლის მცველს თანხმობა ჯერ არც ერთისთვის უთქვამს.

კლუბის ნამატიც საკმაოდ სოლიდურია: "ოლიმპმა"□ უკვე ხუთი მოთამაშე დაიმატა — "სამტრედიადან" თავდამსხმელი გიორგი მიქაბერიძე, ბოლნისის "სიონის" მცველები დავით ლომაია და სერგო ორბელაძე, ფოთის "კოლხეთიდან" კი მიხეილ მახვილაძე. რაც შეეხება ზუგდიდის "ბაიას" თავდამსხმელ ირაკლი ქობალიას, ის ევროთასებისთვის იჯარით დაეხმარება რუსთაველებს. არ არის გამორიცხული, კლუბში მალე სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდეს.

"ოლიმპი" ევროპის ლიგაზე პირველ შეხვედრას 30 ივნისს გამართავს, გუნდი სეზონისთვის მზადებას ხვალიდან რუსთავში დაიწყებს, 9 ივნისს სლოვენიაში, მარიბორში მეორე შეკრებას მოიწყობს, სადაც 21 ივნისამდე დაჰყოფენ, 22-ში კი ევროპის ლიგის კენჭისყრა გაიმართება.

ლაპარაკია, რომ ერთი-ორი ხმაურიანი ტრანსფერი ქუთაისის „ტორპედოშიც" იქნება, მაგრამ ახალწვეულებისა და გაშვებულების ვინაობას კლუბის ხელმძღვანელობა ჯერ არ ამხელს.

გუნდი ქუთაისში 6 ივნისს შეიკრიბება. ქუთაისელთა ხელმძღვანელობა შეკრებას უცხოეთში გეგმავს, ევროტურნირზე თამაშის შემთხვევაში კონკრეტული მოსამზადებელი გრაფიკიც ჰქონდათ, მაგრამ ახლა მისი შეცვლა მოუწევთ და ფიქრობენ, შეკრება სად მოაწყონ — სლოვენიაში, გერმანიაში თუ ავსტრიაში.

## კონსტანტინე გამსახურდიამ საზოგადოებას პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებების დამდგენი კომისიის დასკვნა გააცნო

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების დამდგენი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარესთან კონსტანტინე გამსახურდიასთან შეხვედრა გაიმართა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, კონსტანტინე გამსახურდიას კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე შერჩევა იყო ძალიან სწორი გადაწყვეტილება, რადგან ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების მიზეზების დადგენას მასზე ობიექტურად ვერავინ შეძლებდა.

მისი თქმით, მას აქვს ვალდებულება გაარკვიოს სიმართლე ისე, რომ არანაირი პირადული არ გაურიოს. როსტომ ჩხეიძემ ხაზი გაუსვა იმ სირთულეებს, რომელიც კომისიის მუშაობას ახლდა თან, კერძოდ: მოწმეთა შეუსაბამო ჩვენებებზე, შეუსაბამო გარემოებებსა და ა.შ.

მისი თქმით, ეს არის ძალიან მღელვარე, ტრაგიკული მოვლენა და სენსაციების თემად არ უნდა იქცეს.

კონსტანტინე გამსახურდია დარბაზში მყოფ საზოგადოებას კომიისის მუშაობის შედეგები და ის გარემოებები გააცნო, რომელიც ოფიციალურ ვერსიას, პირველი პრეზიდენტის თვითმკვლეობასთან დაკავშირებით, ეჭვქვეშ აყენებს. მის მიერ დასახელებული საეჭვო გარემოებები, სიკვდილის ადგილთან, იარაღთან, ექსპერტიზასთან და მოწმეთა ჩვენებებთან დაკავშირებით, მიუთითებდა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს,

თუმცა მას ეს პირადაპირი ტექსტით არ უთქვამს, რაც როსტომ ჩხეიძემ დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს არის ფაქტის მკაცრი მეცნიერული მეთოდიკით შეფასება,

რაც მისასალმებელია.

კომისიის მუშაობის შედეგების გაცნობის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და კომისიასთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენელმა მალხაზ გორგასლიძემ საქართველოში ზვიად გამსახურდიას დაბრუნების დეტალებზეც ისაუბრეს, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად გაცნობიერებული ჰქონდა პრეზიდენტს, რა საფრთხე ელოდა ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში და რატომ გადადგა ეს ნაბიჯი. ისაუბრეს ასევე იმაზე, თუ ვის აძლევდა ხელს მისი მოკვლა და რატომ, აგრეთვე — სამოქალაქო ფრონტის გახსნის გარემოებებსა და ინიციატორებზე.

გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების დამდგენი კომისიის მიერ დადებული დასკვნა დარბაზში მყოფთა უმრავლესობამ გაიზიარა და კომისიის მუშაობა მოიწონა.

ამ საკითხზე კონსტანტინე გამსახურდიამ უპასუხა ჟურნალისტ ვახტანგ ბახტაძის, დალი ქვირიას, პოეტ ქეთი შენგელიას, ისტორიკოს ემზარ ხვიჩიას, პროფესორების — მანანა გაბაშვილის, ვაჟა შუბითიძის, ინგა მილორავას და ნანა ერემაძის შეკითხვებს.

**მედიანიუსი**

# რამდენი უკანონო პატიმარია საქართველოში

გულიკო ბალა ე

**ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ძალადობის ფაქტი საზოგადოებისთვის მიუღებელი და დასაგმობია. 26 მაისს მომხდარი აღმაშფოთებელია. ნანახი თითოეულ ჩვენგანში თავისთავად სამართლიან პროტესტს იწვევს.**

**გიორგი თევზაძე კომისიის შექმნას მოითხოვს, რომელშიც შევლენ საზოგადოების, მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.**



***— ბატონო გიორგი, პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია დაარბიეს, დაიღუპნენ ადამიანები, დაკავებული არიან აქციის მონაწილეები, ზოგიერთი მათგანი დაკარგულია, როგორ შეფასებას მისცემთ ყოველივეს?***

— ნებისმიერი მხრიდან ნებისმიერი ძალადობის ფაქტები ჩემთვის და, საერთოდ, მთლიანად საზოგადოებისათვის მიუღებელი და დასაგმობია. ის ფრაგმენტული კადრები, რაც აქციის დაშლისას გავრცელდა და მედიის საშუალებით ვნახეთ, აღმაშფოთებელია. ნანახი თითოეულ ჩვენთაგანში თავისთავად სამართლიან პროტესტს იწვევს. მით უმეტეს, რომ აღნიშნული აქციის ორგანიზატორების მხარდამჭერი არ ვყოფილვარ, ორივე დაზარალებულ მხარეს გულწრფელად თანავუგრძნობ, რადგან ზოგიერთების დაუდევრობით უდანაშაულო ადამიანები დაიღუპნენ, ამ ადამიანების დაღუპვის ფაქტზე დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ნებისმიერი მხრიდან აგრესიის გამოვლინებას გამართლება არ აქვს, მნიშვნელობა არ აქვს, პოლიციელი იქნება თუ მომიტინგე.

***— მომხდარი ხელისუფლებამ რომც გამოიძიოს, რამდენად სანდო იქნება?***

— ჩემი აზრით, აუცილებელია შეიქმნას შერეული კომისია, რომელშიც შევლენ როგორც საზოგადოების მიუკერძოებელი წარმომადგენლები, ასევე მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ამ კომისიამ უნდა შეისწავლოს ყველა დეტალი და პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ პირებს, რომელთა ქმედებითაც ადგილი ჰქონდა შეუსაბამო ქმედებებს. მართალია, მომიტინგეები არ დაემორჩილნენ მერიის გადაწყვეტილებას და აქციის სანქციის ვადის ამოწურვას, რაც მერიის მხრიდან კანონშესაბამისი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მომიტინგეები და აქციის ლიდერები დაშლამდე 10 წუთით ადრე კი არ უნდა გაეფრთხილებინათ, არამედ ორი საათით ადრე მაინც. თუმცა, მანამადე აუცილებლად უნდა მომხდარიყო მეგაფონის საშუალებით მომიტინგეთა ინფორმირება.

***— დაკავებულების ვინაობას ხელისუფლება ასაიდუმლოებს. თუმცა, ზოგადად ცნობილია, რომ 90 მომიტინგეა დაკავებული.***

— დაკავებული პირები მოათავსეს სხვადასხვა პოლიციის განყოფილებებში, რომელთა ადგილმდებარეობა გარკვეული დროის მანძილზე უცნობი იყო, როგორც მათი ოჯახის წევრებისათვის, ასევე მათი ინტერესების დამცველი ადვოკატებისათვის, რითაც დაირღვა მათი მთავარი უფლება, დაცვის უფლება, რადგან ადვოკატებს ხელი შეეშალათ მათი სრულყოფილი დაცვისათვის. ამასთანავე, ზოგიერთმა ადვოკატმა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ მოასწრო საქმის გასაჩივრება. პირებს, რომლებსაც ადმინისტრაციული სასჯელი არ შეეფარდათ, მეორე დღესვე გაათავისუფლეს. ჩემთვის, როგორც უფლებადამცველისთვის, მიუღებელია ჟურნალისტებზე ძალადობა და მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა.

***— დაკარგულებზე რას იტყვით?***

— რამდენადაც ინფორმაცია გავრცელდა, ისინი დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებამ ამ კითხვით სამართალდამცავებს უნდა მიმართოს.

***— ბატონო გიორგი, რამე ხომ არ შეიცვალა ბოლო დროს პენიტენციალურ სისტემაში? ამდენი განცხადებების შემდეგ, ხელისუფლებამ იქნებ ცოტა მაინც გამოასწორა მდგომარეობა?***

— პენიტენციალურ სისტემაში 15 წლის წინ უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ახლა. უფლებადამცველებს არავინ უსმენს.

***— ალბათ, რევოლუციის წინა პერიოდზე საუბრობთ?***

— რევოლუციამდე მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელი იყო. თუმცა, იმ პერიოდში უფლებადამცველებისთვის ის მდგომარეობაც არც ისე სახარბიელო გახლდათ. მაშინ საქართველოში აშშ-ის 15 შტატის გენერალური პროკურორი ჩამოვიდა. მათ მოინახულეს რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, გაესაუბრნენ პატიმრებს და მათთან ერთად ულუფაც კი მიირთვეს. მათი შეფასებით, პენიტენციალური სისტემის მაშინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. იმ პერიოდისთვის სასჯელს იხდიდა დაახლოებით 8000-ზე მეტი პატიმარი, რაც მაშინ საგანგაშო ციფრად მიიჩნიეს. იმ პერიოდში რეალურად მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

***— ზედმეტად ხომ არ აქებთ მაშინდელ მდგომარეობას და სახელმწიფო სტრუქტურებს?***

— არა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მაშინ შესაბამის ზედამხედველობას უწევდა პროკურატურა. საპატიმროებს უტარდებოდა პასპორტიზაცია. ეს იმას ნიშნავს, 5 წლამდე საპატიმრო ვადის შემთხვევაში, ყველა პატიმარს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე სხვადასხვა ფორმით ათავისუფლებდნენ ან პატიმრებს ვადაზე ადრე გათავისუფლებით ეცვლებოდათ პატიმრობა უფრო სხვა მსუბუქი სასჯელით. ხდებოდა პატიმრების ჩასახლება, მიმაგრება და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ციხეების განტვირთვას. ადამიანები უბრუნდებოდნენ საკუთარ ოჯახებს. ერთი მხრივ, ეს იყო მორალური პასუხისმგებლობა. ამასთანავე, ხანდაზმულ 60-70 წლის პატიმრების მიმართ მიმდინარეობდა საქმეების გადასინჯვა, შეწყალება და ვადაზე ადრე გათავისუფლება, რაც დადებითი ფაქტორი იყო იმ დროისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, ფაქტობრივად, სასჯელაღსრულების დაწესებულება გამოეყო შსს სტრუქტურას და დაექვემდებარა იუსტიციის სამინისტროს, მაშინ გარკვეული დადებითი ძვრები დაიწყო. უფრო მეტიც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში საჯაროობის პრინციპი დაინერგა. მხედველობაში მაქვს 2000 წლიდან იუსტიციის სამინისტროში საზოგადოების კონტროლის დამოუკიდებელი მაკონტროლებელი საბჭოს შექმნა, რომლის წევრი მეც გახლდით. აღნიშნული საბჭოს წევრები ვატარებდით ყოველდღიურ მონიტორინგს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ჩვენთვის ცნობილი იყო პენიტენციალური სისტემის რეალური მდგომარეობა, რასაც საზოგადოებას მედიის საშუალებით ვაცნობდით. ამასთანავე ვაყენებდით საკითხებს, როგორც სამინისტროს ხელმძღვანელობის, ასევე შესაბამისი სტრუქტურების წინაშე. უმეტეს შემთხვევაში საკითხი დადებითად წყდებოდა. რაც შეეხება რევოლუციის შემდგომ მდგომარეობას, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იმის მაგივრად, მეტი საჯაროობა შეეტანათ არასამთავრობო სექტორთან საქმიან ურთიერთობებში, ვინც გაერთიანებული იყო მონიტორინგის საბჭოში, ისინიც დაითხოვეს. მათ საბჭოს შემადგენლობა შეცვალეს. ჩვენ მაგივრად საბჭოში შეიყვანეს ახალი შემადგენლობა — მოცეკვავეების, მომღერლებისა და იმ ადამიანებისაგან შემდგარი, ვინც რევოლუციის დროს დროშას მთელი ძალით აფრიალებდა. ამას მოჰყვა საბჭოს გაუქმება. პენიტენციალური სისტემა ფაქტობრივად საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე დარჩა.

***— თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს დღევანდელი სიტუაციის გამოსასწორებლად, მაშინ, როცა ხელისუფლებას არ სურს პენიტენციალურ სისტემაში ლიბერალური პოლიტიკის გატარება?***

— უპირველესად უნდა შეიცვალოს მიდგომა პატიმართა მიმართ. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური ნება. უნდა გაიმიჯნოს ავადმყოფი და ჯანმრთელი პატიმრები. ისინი ცალკე საკანში უნდა მოთავსდნენ. საჭიროა ავადმყოფ პატიმრებს ჩაუტარონ შესაბამისი გადაუდებელი მკურნალობა და არა ზერელე, რომელიც ძალიან ხშირად მოვალეობის მოხდის მიზნით კეთდება.

საჭიროა აღდგეს ჩასახლების ინსტიტუტი, რომლის პრაქტიკა უკვე გვქონდა. საპატიმრო ადგილებში აუცილებელია შეიქმნას პატიმრებისათვის სამუშაო ადგილები და დაასაქმონ ისინი. არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. ასევე, გადასახედია სისხლის სამართლის საპროცესო და მატერიალური კოდექსი. კერძოდ კი, სასჯელის შეჯამების პრინციპი, რომელიც მახინჯი ფორმაა და არ მოდის შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაცაა, რომ საპატიმროებში აუცილებლად დაწესდეს საზოგადოების მონიტორინგი, როგორც ეს იყო იუსტიციის სამინისტროში ჯერ კიდევ რევოლუციამდე საბჭოს სახით. აღნიშნული ინიციატივით არაერთხელ მივმართე ხელისუფებას 2003 წლიდან დღემდე. შედეგი კი არ ჩანს. უდავოა, რომ მათ ინტერესებში არ ჯდება საზოგადოებრივი მონიტორინგის არსებობა.

***— უმეტესწილად პატიმრები აცხადებენ, რომ მათ მიმართ წაყენებული ბრალი უსაფუძვლოა და თავს მიიჩნევენ უკანონო პატიმრად, როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია ეს?***

— წინაწარი გამოძიების დროს, ადგილი აქვს პროცესუალური ნორმების დარღვევის ფაქტებს და პატიმრობაში მყოფი პირები თავს მიიჩნევენ უკანონო პატიმრად. მათ მიაჩნიათ, რომ წაყენებული ბრალი უსაფუძვლოა. საქმეში არ დევს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდა უშუალოდ ჩადენილ დანაშაულსა და ბრალეულობაზე, რაც სამწუხაროა. თუმცა, ფაქტია, რომ მართლაც ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმის შეწავლისას საქმეში ნაკლებად მოიპოვება მყარი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მის მიმართ წარდგენილი ბრალი აგებულია ალბათობაზე, რაც რეალურად არ გამოდგება მყარ მტკიცებულებად. ამასთან ერთად, საქმეში გვხვდება გამოძიების მიერ ადვოკატის დასაბუთებულ შუამდგომლობებზე უარის თქმის დადგენილებები, რომლების დაკმაყოფილება ხელს შეუწყობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. მაგალითად, ილგარ ქარიმოვს მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა. მას წარდგენილი აქვს ბრალი სსკ 236-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის, 109 მუხლის მე-3 ნაწილით და 19-109 მუხლის ნაწილით. ილგარ ქარიმოვმა წინასწარი გამოძიებისას და სასამართლო პროცესზეც თავი დამნაშავედ არ ცნო. მან მიუთითა, რომ აღნიშნული დანაშაული ჩაიდინა სხვა პირმა და არა მან. იქვე მიუთითა იმ პირის ვინაობაც, მაგრამ რატომღაც როგორც წინასწარმა გამოძიებამ, ასევე სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას. მისი დაკავების მომენტიდან გამოძიება პროცესუალური ნორმების დარღვევით მიმდინარეობდა. საქმეზე არ არის დაკითხული მნიშვნელოვანი მოწმეები, რომლებიც ნათელს მოჰფენდნენ საქმის ფაქტობრივ გარემოებას და დაადგენდნენ ჭეშმარიტებას. შედეგად ეს ადამიანი უსამართლო განაჩენის მსხვერპლი არ გახდებოდა. აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში. თუ უზენაესი სასამართლო კანონიერ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, აღნიშნული საქმე გაიგზავნება სტრასბურგის სასამართლოში საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად. ილგარ ქარიმოვი სრულიად სამართლიანად მიიჩნევს თავს უკანონო პატიმრად. ასეთი კატეგორიის პატიმრები, რომელთა მიმართ წარდგენილ ბრალდებაში ნაკლებადაა მყარი მტკიცებულებები და გამოძიება ჩატარებულია პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით, სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ თავს უკანონო პატიმრებად.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ვაჭართა გაერთიანება ძველად, კაპიტალის რაოდენობის მიხედვით; 2. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. გერმანელი კომპოზიტორი, პირველი გერმანული ოპერისა და ბალეტის მუსიკის ავტორი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 8. ტროპიკული ხილი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა საქართველოში; 12. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 14. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული, ხელისუფლების სიმბოლო; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. უბანი თბილისში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 13. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 18. მინერალური წყალი იმერეთში; 19. ქართული ნაციონალური კერძი; 20. ობობასნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კაჭიჭი; 2. ქანდა; 3. პრიორი; 4. ტვისტი; 6. ალმერია; 9. კასპი; 11. პეიზაჟი; 15. ლინგვისტი; 16. ბოჰემა; 17. ნადირაძე; 19. ალაზანი; 21. სტაიარი; 22. ხალიფა.

**თარაზულად:** 5. ტაქსაცია; 7. ლომბერი; 8. აიმაკი; 10. შახნამე; 12. ტოკაი; 13. იმედი; 14. ჰიპოლოგია; 18. მაზდა; 20. გოპაკი; 23. საბვეი; 24. აული; 25. ლემური; 26. ფეტა; 27. კრედიტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქულამა; 2. ხურო; 3. კონსტანტა; 4. ქორქი; 5. მირკანი; 8. აქციზი; 9. პერგამონი; 12. ყალამი; 14. აცტეკა; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ქვათახევი; 6. კოხინორი; 7. ლატავრა; 9. პრუსია; 10. რიგა; 11. მიუსერა; 13. მუაში; 16. ლაზიკა; 17. მამონტი; 18. ლატვია; 19. ბერკლი; 20. შეგირდი.

# ლალიძე რევოლუციის წინააღმდეგია

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან



— ***როგორ შეაფასებთ მშვიდობიანი აქციის დარბევის ფაქტს, რამდენად ჯდება კანონის ჩარჩოებში ხელისუფლების ქმედება?***

— 26 მაისს განვითარებული პროცესების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაიძაბა, გარკვეულწილად პოლიტიკური პროცესები ჩიხშია შესული. აქციაზე ადგილი ჰქონდა ძალოვანების მხრიდან ძალის უხეშად გადამეტებას. ხელისუფლება აცხადებს იმას, რომ ეს აქციები მართული იყო რუსეთიდან, ცალკე საკითხია თუ რა პასუხი უნდა მოეთხოვოს აქციის ორგანიზატორებს, მაგრამ ფაქტი სახეზეა, რომ ამით დაზარალდა ქართული საზოგადოება, ქართველი ხალხი, იმ აქციაზე იდგა ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი, ვისაც ჰქონდა სოციალური მოთხოვნები და მას სულ არ აინტერესებდა არც ბურჯანაძე და არც რომელიმე სხვა პოლიტიკური ლიდერი. აქედან გამომდინარე მე მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ გამოიძიოს 26 მაისის აქციის დარბევის ფაქტი, ვინაიდან აქ ადგილი აქვს დანაშაულს, პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებას და დამნაშავეს პასუხი უნდა მოეთხოვოს კანონის შესაბამისად. მე გაგებით ვერ მოვეკიდები იმას, რომ საკუთარი ხალხს ასე სასტიკად მოექცე, იქ შეკრებილ ადამიანებს არ მისცეს კორიდორი, ისინი მოაქციეს ალყაში და ბურჯანაძეს და მის ამფსონებს მისცეს გასვლის საშუალება, იქ კი დარჩა ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი. მე ვფიქრობ, რომ ეს ფაქტი არის დასაგმობი მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდანაც და ჩვენი ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ უნდა ჩააფიქროს ამ ფაქტმა, რომ საჭიროა საზოგადოების კონსოლიდაცია, მობილიზება და 26 მაისის მოვლენებზე ერთნაირად უნდა აგოს პასუხი როგორც ხელისუფლებამ, ასევე აქციის ორგანიზატორებმა, რომლებმაც შეგნებულად მიიყვანეს სიტუაცია იქამდე, რომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა.

— ***აქციის ორგანიზატორების დასჯა გასაგებია, მაგრამ დარბევის ორგანიზატორების დასჯა ცოტა გაუგებარია როგორ უნდა მოხდეს, ხელისუფლება საკუთარ თავს ხომ ვერ დასჯის?***

— უნდა მოხდეს ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება 26 მაისის მოვლენების და ამას უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება.

— ***როგორ მოხდება ობიექტური გამოძიება, როცა ხელისუფლებამ თავად დაარბია ეს აქცია?***

— თუ ქვეყანას ჰყავს პროკურატურა, თუ ქვეყანას ჰყავს დამოუკიდებელი სასამართლო და თუ ჩვენს ქვეყანას პრეტენზია გააჩნია, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს, მაშინ ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ფაქტის ობიექტური გამოძიება, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ცალკე კომისია ან ჯგუფი, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ პროკურატურის წარმომადგენლებმა. მაგრამ საგამომძიებლო ჯგუფის მოქმედებებში მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებისათვის სანდო პირებმა, ვისაც საზოგადოება ენდობა და დაიდოს ობიექტური დასკვნა ამ მოვლენებთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ორივე მხარეს მიუძღვის ბრალი, დამნაშავე არ არის მარტო ხელისუფლება, ამ აქციის ორგანიზატორებმა შეგნებულად მიიყვანეს საქმე იქამდე, რომ მომხდარიყო დარბევა და შემდეგ კუდამოძუებულები გაიქცნენ რუსთაველიდან. ამიტომ უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ქვეყანაში შეიარაღებული ამბოხის მოწყობას გეგმავდა. როგორც გავრცელდა ინფორმაცია, მზადდებოდა შეიარაღებული ამბოხი, მათ შორის შეფიცულებთან დაკავშირებითაც ძალიან ცუდი ინფორმაციები ვრცელდება. ეს ყველაფერი არის გამოძიების პრეროგატივა, უნდა იქნეს ჩატარებული ობიექტური გამოძიება და დამნაშავეს კანონი სრული სიმკაცრით უნდა მოეთხოვოს პასუხი. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ხელისუფლებას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე არ ვარ მომხრე რევოლუციის გზით განვითარდეს პროცესები. მიმაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, უნდა წყდებოდეს კაბინეტებში და არჩევნებს არ აქვს ალტერნატივა, რაც ჩვენ ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ.

— ***ამ შემთხვევაში რომელი უფრო დიდი დამნაშავეა, ხელისუფლება, რომელსაც დარბევამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა ინფორმაცია შეიარაღებულ ამბოხთან დაკავშირებით და დროულად არ აღკვეთა ეს ყველაფერი, რაც უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლით დამთავრდა თუ ბურჯანაძე, რომელიც საკუთარი სკამისთვის იბრძვის?***

— ჩემთვის უცნობია, როდის გახდა ხელისუფლებისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი, მაგრამ ფაქტია, რომ თუ მართლაც ეს ასე იყო, ხელისუფლებას დროულად უნდა მოეხდინა ორგანიზატორების დაკავება და ამ ფაქტების აღკვეთა. მიმაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ობიექტური საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოიძიებს 26 მაისის მოვლენებს და ასევე დადებს დასკვნას თუ რამ მიგვიყვანა ჩვენ აქამდე. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით დამნაშავე არიან აქციის ორგანიზატორები და თავისთავად დამნაშავეა ხელისუფლება, რომელმაც გამოიყენა გადაჭარბებული ძალა აქციის დასაშლელად. დადგა დრო, რომ ჩვენი საზოგადოება ისეთ ლიდერებს, ვინც საკუთარ ხალხს განსაცდელში ტოვებენ და გარბიან, გაემიჯნონ და ქვეყანაში შეიქმნას ნორმალური, სტაბილური პოლიტიკური ვითარება და ერთხელ და სამუდამოდ ჩვენი სახელმწიფო, პოლიტიკური სპექტრი დაადგეს სწორი განვითარების გზას, რაც აუცილებლად მიგვიყვანს ხელისუფლების ცვლილებამდე.

— ***ოპოზიცია მოითხოვს საგამოძიებო კომისიის შექმნას, ჩვენ არაერთი ასეთი შექმნილი კომისია გვახსოვს, მაგრამ დამისახელეთ ერთი ფაქტი, რომელიც იქნა მსგავსი კომისიების მიერ გამოძიებული?***

— მე ვფიქრობ, რომ თუ კომისია იქნება დაკომპლექტებული საზოგადოებისათვის პატივსაცემი ადამიანებით, რომელსაც ენდობა ორივე მხარე, როგორც ოპოზიცია, ასევე ხელისუფლება, ეს ადამიანები, ბუნებრივია, არ დაუშვებენ მოვლენებისა და ფაქტების გაყალბებას. თუ ამ კომისიას მიეცემა მუშაობის საშუალება, მჯერა, რომ აუცილებლად დაიდება ობიექტური დასკვნა, რომელიც შემდგომ გადაეგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებს და რა დასკვნის საფუძველზეც არსებული ხელისუფლება იძულებული გახდება მოახდინოს რეაგირება და დამნაშავეებს მოეთხოვოს პასუხი. სხვა შემთხვევაში თუ არ შეიქმნა კომისია და არ იქნება გამოძიებული ეს მოვლენები, საზოგადოებაში გაიზრდება პროტესტის გრძნობა და ამას აუცილებლად ექნება თავისი ლოგიკური შედეგი. ხვალ გაცილებით უფრო მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში და გაცილებით უფრო მწვავე მოთხოვნებს დააყენებს.

— ***სამწუხაროდ, პროკურატრის და სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა ნულის ტოლია, და საზოგადოების ასეთი უნდობლობა რეალობას ნამდვილად არ არის მოკლებული, ამიტომაც კომისიასთან დაკავშირებით განცხადებებს საზოგადოება არასერიოზულად აღიქვამს.***

— თუ ჩვენ ეჭვი შეგვაქვს პროკურატურის და სამართალდამცავი ორგანოების ობიექტურობაში, მაშინ ამის ალტერნატივა არის ის, რომ შეიქმნა საგამომძიებლო კომისია და საზოგადოებამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელონ მონიტორინგი. არ უნდა მივცეთ ხელისუფლებას იმის უფლება, უხეშად ჩაერიოს დამოკიდებელი საგამოძიებლო კომისიის საქმიანობაში და საზოგადოების ზეწოლის შედეგად უნდა დავუშვათ ქვეყანაში პრეცედენტი, რომ თუნდაც ერთი ფაქტი იქნეს ობიექტურად გამოძიებული. მიმაჩნია, რომ წარსულით ხელმძღვანელობა არ არის სწორი და თუ საზოგადოება იქნება აქტიური, აუცილებლად დაიდება ობიექტური დასკვნა და მოყვება დამნაშავეების სათანადოდ დასჯაც. მე ასევე მინდა გამოვეხმაურო ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორისტ გაჩიევს ქართველი სამართალდამცავები უწყობდნენ ხელს სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებაში. მიმაჩნია, რომ ოქრუაშვილის ეს განცხადება არის დანაშაულებრივი და ქვეყნისათვის საფრთხის შემცველი. როგორც ჩანს, ოქრუაშვილი მშიშარასთან ერთად მოღალატეც ყოფილა. ვფიქრობ, რომ დადგა დრო ჩვენი საზოგადოება გაემიჯნოს ისეთ ვაი-პოლიტიკოსებს, ვისაც საკუთარი ხალხის ლაჩრულად განსაცდელში მიტოვება შეუძლია და ყველაფერს კადრულობენ იმისთვის, რომ ნებისმიერ ფასად მოვიდნენ ხელისუფლებაში.

## ნიკო გომელაური — „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

— ***წიგნის პრეზენტაციაზე დასწრება ყველას შეეძლება?***

— იცით, ბევრს უნდა დასწრება, მოსაწვევიც ბევრია და დარბაზიც დიდია, მაგრამ, არ ვიცი, რა იქნება. ჩვენ გრიბოედოვის თეატრში 8 საათზე ვატარებთ ამ კრებულის წარდგინებას. ამ სიახლის შესახებ გამოვაკარით უნივერსიტეტებშიც და ინსტიტუტებშიც, სადაც ბავშვები ნიკოს საღამოებს მართავენ თვეში ერთხელ. ძირითადად მათთვის გავაკეთე ეს კრებული, ვიდრე სხვებისთვის.

— ***პირველი ივნისი საგანგებოდ დაამთხვიეთ?***

— არა, უბრალოდ, ეს რიცხვი დაემთხვა.

— ***წიგნის ყიდვა პრეზენტაციაზეც იქნება შესაძლებელი?***

— რა თქმა უნდა.

— ***ვინ წაიკითხავს ნიკოს ლექსებს?***

— ნიკოს ლექსებს ბიჭი ივანიშვილი და მისი მეგობრები წაიკითხავენ. ბიჭის მიჰყავს საღამო. თხოვნა მექნება ყველასადმი — ვინც ნიკოს უძღვნის ლექსებს, ზოგი სასაფლაოზე ტოვებს, ზოგი პირადადაც მიგზავნის, მინდა, რომ თუკი ისინი დარბაზი იქნებიან, იქნებ წაიკითხონ. ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და, ალბათ, განვახორციელებთ. უამრავი ბავშვია, რომელიც ნიკოს უწერს ლექსებს, იმდენნი არიან, გაოგნებული ვარ. ისეთი რაოდენობის მაქვს ნიკოსადმი მიძღვნილი ლექსები, სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ. მარტო წნორის სკოლიდან უშველებელი ყუთი მაქვს გამოგზავნილი.

## სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა აფხაზეთის ინტელიგენციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, გულრიფშის რაიონის ბალმარანის საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, სამამულო ომის ვეტერანი

**ვარლამ ვლადიმერის ძე მამფორია**

შრომისმოყვარე ადამიანი, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. წავიდა გულნატკენი სახლსა და მშობლიურ კუთხეს მონატრებული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*გულრიფშის რაიონის ინტელიგენცია*

---

ჯავარ, დავით და თემურ გვაძაბიები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მამიდის მარგო გვაძაბიას ოჯახს საყვარელი მეუღლის

**ვარლამ მამფორიას**

გარდაცვალების გამო.

---

დისშვილები ლეილა, ძაძუ კოსტავები, ძმისშვილები თამარ, ედიშერ აბულაძეები, რძლები თამუნა მიქაძე, თაკო ჯაკობია, სიძე ვახტანგ გოგოხია, შვილიშვილი საშკა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარგალიტა ბაბილოს ასული აბულაძე-აბესაძე**

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 2 ივნისს, 15 საათზე.

მისამართი: ქალაქი ქობულეთი, გოგებაშვილის ქ.№19.

---

გამოვხატავთ ღრმა მწუხარებასა და თანადგომას ჩვენი თანამებრძოლის, მეგობრის, 24-ე ბრიგადის ყოფილი მეთაურის ელგუჯა (ბუთხუზ) თოხაძის ოჯახის მიმართ ქალიშვილის

**მაია თოხაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

*აფხაზეთის ომის ვეტერან-მეთაურთა კავშირი*

*საქართველოს დევნილთა კონგრესი*

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი 24-ე ბრიგადის მეთაურს, ბატონ ბუთხუზ თოხაძეს შვილის

**მაია თოხაძის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

ბიძაშვილები თიესა, ვაჟა, ლადო ლესელიძეები, დეიდაშვილები ნაზი კვერენჩხილაძე, გულიკო, სოსო გრძელიძეები, რძლები ნაზი შანავა, პაწია ხავთასი, გულნაზი თავბერიძე, ლამარა სიხარულიძე, როზა ჯორბენაძე, ლალი თავაძე, სიძე რობერტ სარიშვილი, ბიძაშვილიშვილები ლელა, გოჩა ლესელიძეები, დეიდაშვილიშვილი ნატო მენაღარიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თეიმურაზ (ზურიკო) გადახაბაძე**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

დაკრძალვა: 31 მაისს, ოზურგეთში.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 1 ივნისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია (გან.) **13.30** მეხსიერება **13.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიო ალაფი. ურუგვაი-აშშ **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **17.55** **რაგბი**. **20** წლამდელთა მსოფლიო ალაფი. საქართველო-იაპონია **21.00** სერიალი **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ.ფ.**"რადიო"** (ე.ჰარისი) **02.00** მოამბე **02.20** ევროპული არჩევანი **03.50** ჩვენი ეზო

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ.ფ.**"ჯერი მაგუაიერი"** **01.00** მხ. ფ. **"გარიყულები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ.**"ავრორა"** **1**-ლი ს. **19.45** სერიალი **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ.**"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ. ფ. **"დეჟა ვუ"** (**12**) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ.**"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50** სერიალი **"გაზაფხული"** **12.50, 19.30** სერ.**"უკვალოდ"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **21.00** სერიალი **"მონადირე"** **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** **1**-ლი ნ. **13.30** კონცერტი – გ. ცაბაძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"მანანა"** **16.30** დოკ.ფ."ველური ბუნება" **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ.ფ.**"თუში მეცხვარე"** მე-2ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფილმი "მოციქულთა სწორი ნინო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი– ეკა მამალაძე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**1 ივნისი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6658 |
| ევრო | 2,3799 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7451 |
| რუსული რუბლი | 0,0593 |

**ამინდის პროგნოზი 1 ივნისისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-29, ღამით — 4-8








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ნიკო გომელაური — „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“

ეკა ირემაშვილი

პირველ ივნისს გრიბოედოვის თეატრში მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართება. „ოცნებები მცნებებივით ირღვევიან“ — ასე ეწოდება ახალ კრებულს, რომელშიც ნიკოს ყველა ლექსი შევა.

საზოგადოებაში კარგად ცნობილი და პოპულარული ლექსების გარდა, ნიკოს ახალ წიგნში ის ლექსებიც ეშვა, რომელთა გამოცემაც პოეტმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო. წიგნის შედგენაზე მისმა მეუღლემ ნინა ჩოდრიშვილმა იზრუნა. როგორც პოეტის მეუღლე აცხადებს, ამ წიგნში შესატანი მასალების მოგროვებაზე იგი ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. ნინას თქმით, ნიკოს ახალი წიგნისთვის ლექსების თავმოყრა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მსახიობისა და პოეტის ლექსებს ახალგაზრდა პოეტი ბიჭი ივანიშვილი და მისი მეგობრები წაიკითხავენ.

**ნინა ჩოდრიშვილი**, ნიკო გომელაურის მეუღლე:

— ამ კრებულში ნიკოს ცნობილი ლექსებიც შევა და მკითხველისთვის სრულიად უცნობი ლექსებიც იქნება წარმოდგენილი. საკმაოდ სქელტანიანი წიგნი გამოვიდა. ლექსების რაოდენობა არ ვიცი, მაგრამ მასში ნიკოს შემოქმედებაა გაერთიანებული, მისი ბევრი კრებულია ერთად წარმოდგენილი. ამოღებულია ის, რაც ნიკომ მთხოვა, რომ იყოს ამოღებული და ჩამატებულია ის, რაც ნიკომ მთხოვა, რომ იყოს ჩამატებული. მასში სულ ახალი, საერთოდ გამოუქვეყნებელი ლექსებია.



*— ეს კრებული თქვენ შეადგინეთ?*

— დიახ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ფიფას, შესაძლოა, აზია შემოსწყრეს



აზიის ფეხბურთის კონფედერაციის დელეგაციამ, შესაძლოა, დღეს ციურიხში გასამართ ფიფას პრეზიდენტის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადოს და მასში მონაწილეობა არ მიიღოს.

გეხსომებათ, უკვე ვწერდით, რომ ფიფას ეთიკის კომიტეტმა, რომელიც ფიფას მოქმედი პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის მიმართ აზიის კონფედერაციის პრეზიდენტ მოჰამედ ბენ ჰამამის სარჩელს განიხილავდა. ჰამამი ამავდროულად დღევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ფიფამ აზიელი მახალჩინოსანი საქმიანობას ჩამოაშორა და ამით ბლატერი არჩევნებზე უკონკურენტოდ დატოვა.

1999 წელს, აზიის კონფედერაციის დელეგაციამ მსოფლიო ფეხბურთის მმართველის არჩევნებს ბოიკოტი ერთხელ უკვე გამოუცხადა და უეფა-ს პრეზიდენტი მიშელ პლატინი, მედიასთან საუბარში არ გამორიცხავს, რომ მსგავსი რამ ახლაც განმეორდეს.

— ჯერ ვერ გეტყვით, რა მოხდება 1 ივნისს. 1999 წელს, აზიელებმა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს და დიდი შანსია, რომ მსგავსი რამ ახლაც განმეორდეს, — აცხადებს პლატინი.

მ. ჟ.


# 30 მაისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




ტომი 6

# რიშელიე

გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


# ასტროპროგნოზი 1 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **სასწორი** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმე კარგად წაგივათ. **თევზები** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ანგორული თხის მატყლი; 2. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 3. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 4. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 6. გვინეის დედაქალაქი; 9. ციტრუსების შეფერილი კანი; 11. მეფეთა რეზიდენცია საფრანგეთში; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების წინააღმდეგ; 16. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 17. აშშ-ს ქალაქი მექსიკის ყურეში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 19. ტროპიკული ხილი; 21. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 22. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. კამათი რაიმე მეცნიერული, ლიტერატურული თუ პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 7. ადრიატიკის და იონიის ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 8. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან კონიაკი; 13. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი; 14. ერთი დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი; 18. სააღდგომო ნამცხვარი; 20. ნახატი ზღვის ხედით; 23. ეგვიპტელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 24. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 25. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ფულის ერთეული ლატვიაში; 27. ატომგულის დადებითად დამუხტული ელექტრონული ნაწილაკი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

